



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაბიანი გაზეთი ბაგოლის უძველესი კვირა დღეს

№ 29

ივლისი 7 1896 წ.

№ 29

შინაარსი: გაკვრიტ გ. წერეთლისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—\* ლექსი ი. ვედოშვილისა.—საყურადღებო ამბავი.—უან დარკი (დასასრული), ა—სი.—ივანე კოცორაშვილის ამბავი, პოემა (დასასრული), ვაჟა-ფშაველასი.—საარავო სარკე (ჩენური ზღაპარი, თარგმანი), ს. ბრილელისა.—ჩაღდარი, ოტია ათაბეგისა.—ტირაჟი და განცხადებანი.—

„აკვალის“ ხელის მომწერლებს მფაგონებთ, ვისცე ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

განსვენებული თავ. პეტრა გიორგის ძის ნაკაშიძის ქვრივი და შვილები ამით ატყუებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ დღეს, 7 ივლისს, შუადღეზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

№ VI „ჯიჯილისა“ გამოვიდა და დათრიგდა ხელის მომწერლებს.



გაკვრიტ.

ა ამბები არ ხდება ამ ცოდვილ ქვეყანაში? საღ მთა ინგრევა, საღ ბარი ნიაღვარს მიაქვს უწინ რომ თებერვალი მისათ იყო გადაქცეული, ახლა მისი იანვრობს.

თითქმის დედა-მიწამ ღვთის უკულმა მოიბრუნა სატრიალებლათ, ბუნებამ პირი იცვალა, სულ სხვა ჰავა დადგა. ალბათ ბუნების უკულმარტ ძალების ბრალია, რომ ჩვენმა მოწინავე თაობამაც სიკეთის ფერი დაჰკარგა. ჩვენ გვეგონა, მეცხრამეტე საუკუნის გასულს მაინც ველირსებოდით შინაურ საქმეებში და მოშმინებას, ვფიქრობდით, ევროპის მეცნიერებით განვითარებული თაობა რაკი გავგიჟონიერდა და განათლებული კაცები გავგიჟრავლდენ, ესენი დაგვიფუძნებდენ ერთობას, ერთი სულითა და გულით შეეუდგებოდით ჩვენი უკეთესი მომავლის ძებნას. თურმე ნუ იტყვიოთ, როგორც ამ ბოლოს დროს აღ-

მოჩნდა, თვით ესენი მიეგანებიან სულით ავადმყოფებს და, აბა, ჰსინოპატებისაგან რალა კეთილს უნდა მოველოდეთ?.. აქამდის ყოველსავე ჩვენ უბედურებას უწინდელი დროის კაცებს ეაბრალებდით. ისტორიაც ანას ამტკიცებს, რომ იმათმა შურმა და მტრობამ ერთმანეთში დაეკეცია ეს ჩვენი უბედური, მაგრამ ერთ დროს, ბედნიერათ და სამოთხის კუთხეთ წოდებული ქვეყანა. მაგრამ დაღა მეცხრა-მეტე საუკუნე და ჩვენი იმით ენუგეშობდით, რომ განათლება შემოვა, შთამოება გონიერების ფრთებს შესისხამ და ყოველივე გამოსწორდებოდა. თურმე ნუ იტყვიოთ, ნამდვილი უბედურება ამ ჩვენ პაწია სამშობლოს ჩვენი ესრეთ წოდებული ინტელიგენციით მოველინა ამ ბოლოს დროს. მემკვიდრეობითი ძალა დიდი რამ ყოფილა და, აბა, ჩვენ რა ვიცოდით?.. თურმე ძველი მემურნეობისა და ბოროტების გესლით მოწამლული სისხლი ახალ თაობის მაჯაშიც მდგარა. მაშ, მეცნიერება და განათლება ამას რაღას დაუგვარებდა. გაგვიცრუვდა ოცნება.

გონების განვითარება მეცნიერებით ეს ხომ მარტო ტენის და ზნეობის გარეგანი შალაშინია. მაგრამ თუ თვით აგებულობა კაცისა, მისი ჰკუთისა და გრძნობის ბუნება შავი გესლიანი სისხლით არის მორწყული, იმას რალა გაეწყობა? აი, თუნდ ავილოთ ორ გვარი ხე: კაკლისა და წიფლისა. აბა, გაკრათ შალაშინი ერთსაც და მეორესაც. კაკლს შეენიერი ჯავარი დაადგება, წიფლის ხეს კი არა. რაც უნდა დიდხანს უსვა შალაშინი, წიფლის ხე ჯავარს ვერ მიიკარებს. ის მაინც როყიო წიფელათ დარჩება.

ასეა კაცის ბუნებაც.

დიდი იმედები გექონდა ჩვენი ესრეთ წოდებული ინტელიგენციისა, გეგგონა ის დაგვაიწყებდა ძველს, წყვილიად მოსილს დროს; გეგგონა იგი მოჰფენდა ჩვენს დახვედებულს, ობ-მოკიდებულს უნუგეშო არსებობას ევროპის განათლების შუქს. თურმე ნუ იტყვიოთ, იმან კიდევ უფრო დააბნელა ჩვენი მომავალი. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. უზნეო და უგნურს ყმაწვილს მიეცა ვალესილი სამართებელი ხელში, რასაკერეფელა, ის პირველ ჩვენ გამოგეჭრიდა ყელს. დიახ, დღეს ჩვენმა განათლებულმა თაობამ, ანუ ესრეთ წოდებულმა ახალ მოდის ინტელიგენციამ აღორძინების მაგიერათ უფრო დასეტყვა ჩვენი ცხოვრება და მოიწვა ნაყოფი მომავლისა.

განა ამას მოველოდით, რომ ძვალს გადმოგვიდებდნ და ამ ძვალს ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია წვესეოდა და ერთმანეთს თავიბრს დააქამდა?.. განა ამას მოველოდით მათგან?.. თუ ასე იქნებოდა, რატომ ის დღე არ დაიქცა, როცა ჩვენი გულბოროტი და ანგარების მოყვარე მეთაურები ევროპის

განათლებას იმ აზრით ითვისებდნ, რომ ჩვენი გულმარტივი ერი გავრყენათ და მისი ერთობა დაერღვიოთ, ერთი კუთხე ჩვენი ქვეყნისა მეორე კუთხეზე გადაეტრებინათ და თოთო ნამყენი ჩვენი ეროვნების ურთიერთობისა ძირში გავხმოთ? რატომ ის დღე არ დაიქცა, როცა ჩვენ ბანკები გავგინდა, თუ მისი მეოხებით ასეთი მტრობა და შური არ აგვიკიდებოდა, თუ იმის მიზეზით ცოლი ქმარს გაეყრებოდა, ძმა ძმას აღარ დაინდობდა, თუ იგი ისე დააბრამეებდა მთელ ქვეყანას, რომ ორიოდ ქონდრის კაცის მეტს ევლარას დაინახვდა და იმათ მეტი აღარცარა ენდომებოდა-რა. ამას შემდეგ, აბა, რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცს იმ ერისა, რომლის განათლებული თაობა იმდენათ დაწერიმალეებულა და დაბრამეებულა, რომ ანგარებით გაგულბოროტებული ქონდრის კაცები კერაბათ დაუსვამთ და, თუ იმათ მეტი ქვეყანაზე რამე მოიპოება ერის საკეთილდღეოთ აღარა ჰკონათ რა. საცა ამისთანა უმგზავს ამბავი ხდება, იქ საზოგადოება მკვდარია და ლეშის სუნი წამლავს არე მარეს, იქ ტანშთელს ცოცხალ კაცს აღარ ედგომება, იქ მკვირცხლ მოსაზრებას ადგილი აღარ აქვს. შორს, შორს ჩვენგან ასეთი საზოგადოება, მიუუგლოთ მკვდარი თვისთა მკვდართ და ჩვენ ცოცხალნი ეეძიოთ. სად არიან ეს ცოცხალნი? იქ, იმ წრეში და იმ თაობაში, სადაც მემკვიდრეობით წამხდარი სისხლი მაჯაში არ უტევიოთ, სადაც გვარის უპირატესობით თავი არ მოაქეთ, არამედ სულით მაღალი, გულით უმანკო, გარემოებით დაჩაგრული, მაგრამ თვისი მარჯვენით მხნეთ მებრძოლნი არიან ცხოვრებაში...

ამას წინათ მე შემხვდა შავი ზღვის პირათ გამგზავრება. ნოეოროსისსკში ზღვის კიდევ დამხვდა ქართველი არტელი. გურული კილო ქართულისა ბულბულისებურ ვალობათ მომესმა. ნავთსადგურში და გემების მისადგომებზე ირეოდა ქართველი მუშა, მგზავრებს ბარგს უზიდავდა და ისე ცქციტათ იქცეოდა, რომ მაყურებელს ძალა-უნებურათ სასოებას ჰგერიდა. საიდან სად წამოსულან საწყალი ქართველები?—ვიფიქრე და დაველოპარაკე ერთ მათგანს, რომელიც ასეთ ცოცხალს და მოძრავს ჯგუფს ქართველი მუშებისას თაოსნობდა. გამოჩნდა, რომ ის ყოფილა გურული გვართ კალანდაქე, სახელი მისი სილოვან. მასაც ძალიან იამა ჩემი ნახეა და მთხოვა იმ დღეს ნოეოროსისსკში დავრჩენილიყავი, რომ შემეტყო აქაური ქართველების ვითარება. იმ საღამოს შევიკრიბეთ ერთ სახლში ხუთი ექვსი ქართველი. ს. კალანდაქემ ბევრი ილაპარაკა ქართველი მუშების გაჭირებაზე. პირველათ დიდი ბრძოლა გამოუტყდათ იმათ ადგილობრივ და უცხო ქვეყნის მუშებთან, რა-

მელთაც არა დაუზოგავთ-რა, რომ ეს ქართველი მუშები განქვედებიანთ აქედან; ბევრი მათგანი ხშირ ჩხუბში კიდევ დაჭრილან, მაგრამ ქართველები მინც არ შერყეულან ასეთი მტრობით. ბოლოს თავისი მუყაითობით, მოჩივრებით და თავმდაბლობით შეუყვარებიათ თავი რუსეთის ცეცხლის გემების საზოგადოების სააგენტო გამგეობისათვის, რომელსაც დაუქირავებია ისინი სამუშაოთ და შეუდგენია მათგან მუშათა არტელი. მომეტებული ნაწილი ამ ქართველი მუშებისა წამოუყვანია აქეთკენ უადგილ-მამულობას და თავის ქვეყანაში სამუშაოს უქონელობას. ცხადია, რომ ამისთანა ხალხს უნდა მიექცია თავისი ყურადღება შავი ზღვის პირათ მდებარე ადგილებისათვის, რომელნიც ნოვოროსისიკიდან მოკიდებული სოხუმამდის ორასის ვერსის სიგრძე-სიგანეზე საკვირველათ მოხერხებულია ქართველი ხალხის საბინადროთ და დასახლებლათ; განსაკუთრებით ძალიან ედარება ეს ადგილები დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს: იმერეთს, გურიას და სამეგრელოს. აქ ქვეყანა მთა გორიანია, საიდანაც მოჩუხჩუხებენ ანკარა და ცივი წყაროს წყლები. ყოველ მდინარის პირათ მიუდევს შენეირი ქალები და ხეები, ტყე და საბალახე ბლომათ, ახოების გასატეხი ადგილები მრავლათ არის, მიწა ძალიან ნაყოფიერია, განსაკუთრებით სავენახეთ შეუდარებელია. სოჩის მახლობლათ დასახლებულა ოცდა-ექვსი კომლი ლეჩხუმელები და ჩინებულათაც მოწყობილან. ჩვენი საუბარი იმ საღამოს ტრიალებდა სულ ამ საგანზე, რომ რამე ნაირათ გულშემატკივარნი ამოჩენილიყვენ ჩვენში ამ საქმისათვის. იმ საღამოსვე ჩვენთან დაესწრო ნოვოროსისიკის რკინის გზის ბუფეტის მოჯარადრე ბ-ნი, დ. ჩხიკვაძე, რომელიც აგრეთვე გულმხურვალე მონაწილეობას იღებს, რომ რამე ნაირათ უადგილმამულო ჩვენებურ კაცს დაეხმაროს და იმ კუთხეში უმოგნოს ორიოდ მიწის კვალი დასახლებლათ.

—ჩვენ, ბატონო, ადგილ-მამულით ძალიან შევიწროებული შევიქენითო—განაგრძო სილოვან კალანდაძემ—ჩვენში, გურიაში, შორაპნისა და რაჭის მაზრებში, ლეჩხუმსა და იმერეთში საწყალ გლეხს ადგილის სივიწროისაგან სული აქვს ამომძვრალიო. რა ცხოვრებაა ის ცხოვრება, თუ ბატი და ქათამი კარზე ევლარ გამოუშვითო; უფულოთ ბატი აღარ დაგვიდისო და ღორი ნიადვ შინ გეყავსო ბაწრით დაბმული; საქონელი ევლარ მოვაშენეთ, ძროხა, ცხვარი და თითო დედა თხა ევლარ ვიყოლიეთ, საბალახე რომ აღარსად არისო. როგორც მოგვხსენება, მოსახლეს თუ ძროხა არ ეყოლა, ან თხა, თავი რითი დაირჩინოს, ბავში რითი გამოზარდოს. ამ შავი ზღვის

კუთხეზე ადგილი ბევრია, საიდან არ მოდიან დასახლებლათ, რომ ჩვენი მოწყალე ხელმწიფის ყმანი არ არიან; ჩვენი ჩვენი ხელმწიფის ერთგულ ქვეშევრდომნი ვართ და ჩვენ როგორ არ მოგვეცემენ ნებას აქ დასახლებისას, როგორ გავგიწყვეტენ ლუქმა პურს; მაგრამ ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ჩვენი მეთაური კაცები არ გვივარგა, რომ ყოველად მოწყალე მთავრობას ჩვენი უადგილ-მამულობა და მუშუხარება გააგებინოს. იმდენზე დაგვიცოტავდა ადგილი, რომ ოთხ მუშა კაცს ერთ ოჯახში სამი ქტევაც აღარ გვაქვს. ამდენი მიწა ერთ მუშას ვერ გამოკვებავს და ოთხმა კაცმა თავის ცოლშვილით რაღა უნდა ქნას? ამ ოთხ კაცში სამი დიდი სიაჩინებით წამოვა აქეთ და ამ ფართო ქვეყანაში დასახლებდა, რომ პატრონი ჰყავდეს.

აი, ბატონო გიორგი, ამისთვის მოგმართეთ თქვენ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ საშუალებით აცნობოთ ჩვენი ქვეყნის განათლებულ და მთავრობაში გადღენის მექონე პირებს, რომ ისინი დაგვეხმარონ, მთავრობასთან გვისაშუალონ, რომ თუ ბერძენს, გერმანელს, ბოლგარელს და თათარს არ უშლიან აქ დასახლებას, ნურც ჩვენ, იმის ერთგულ ქვეშევრდომთ, დაგვეშლება აქ დასახლება და ჩვენც ხელი შეგვიწყონ, როგორც სხვებს უწყობენ ხელს დასახლებაში“.

გათავეს ბბ. კალანდაძემ და ჩხიკვაძემ თავისი ლაპარაკი. ამ კეთილ კაცებს შეუდგენიათ პაწია წრე, მოუგროვებიათ ფული და ცდილობენ ყოველნაირი შემწეობა აღმოუჩინონ ჩვენებურ უადგილ-მამულო კაცს, ვინც კი მათ მიმართავს, იქ ადგილი უმოგნონ და დასახლონ.

აბა, ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი გადღენის მექონე კაცები და მეთაურები რომ ვარგოდენ, განა ამისთანა საქველ-მოქმედო საქმეს არ მიაქცევდენ ყურადღებას, არ ეცდებიან, რომ ჩვენი ხალხი, რომელიც ერთ ხელის დადება ადგილზე იხურხლება, ლამის უადგილობით ამოწყდეს, გადასახლონ იქით, სადაც ბევრი ადგილია და სადაც ერთ დროს ქართველების ცხოვრება დულდა და გადმოდულდა, სადაც ყოველ ნაბიჯზე ახლაც იბოვება ძველი ქართველების კვალი. განა ჩვენი ესრეთ წოდებული ინტელიგენცია, რომელიც ორი კაცის გულისათვის თავებს იხეთქავს, რომ ვარგოდეს, ამისთანა დიდ საქმეს გვერდს შეუდღის და გულდასმით არ მაჰკიდებს ხელს?..

არა. ისინი სამწუხაროთ უფრო ირჩევენ ბანკის შემოსავლიან ადგილებისათვის ერთმანეთს თავი უხეთქონ, ერთმანეთი შურისძიებით მოიხსენონ და იძახონ: არა არს ღმერთი გარდა იმისა, რომელიც მოგვ

ცემს ჩვენ სალუკმაპურო ადგილებს და გაგვიყოფს შემოსავალსა ბანკისასა.

„ეი, თქვენდა, ფარისევლნო ორგულნო, რამეთუ გიყვარსთ თქვენ ზემო ჯდომა შესაკრებელთა შორის“.

„ეი, თქვენდა სჯულის მოძღვარნო, რამეთუ დამალენით კლიტენი მეცნიერებისანი...“

ბ. წიწყოელი.



სხვა-და-სხვა ამბავი.

**პ**აქასიის სამეურნეო საზოგადოებამ ამას წინეთ გადაწყვიტა რძის ნაწარმოებთა გამოფენის გამართვა. გამოფენა გაიხსენება 6 ოქტომბერს სამეურნეო საზოგადოების შენობაში და გაგრძელდება ათ დღეს. ამ გამოფენის პროგრამა დაუზრუნველბა კავკასიის ყველა მეურნეთა. გამოფენაზე მიიღებიან ყოველგვარი რძის ნაწარმოებნი: რძე, კეფირი, კუმისი, ნაღები, ერბო, მოთალი, სხვა-და-სხვა გვარი ყველი, როგორც ადგილობრივი, ისე ევროპიული. ამას გარდა გამოფენილი იქნებიან ყოველგვარი რძისთვის სახმარი იარაღნი, საძოვართა გეგმები და ლიტერატურა რძის შესახებ. ამ გამოფენის დროს წაიკითხავენ სახალხო ლექციებს რძის წარმოების შესახებ. კარგი იქნება, რომ ხალხისათვის გასაგებათ ქართულათ წაიკითხონ ეს ლექციები.

\* \*

პირველ კათათვიდან ქალაქის საბჭომ შეცვალა ხორცის ნიხრი ასე: პირველი ხარისხისა ძროხის ხორცი ეღირება 7 კაპ., სუკი 12 კაპ., ცხერის ხორცი 8 კაპ.

\* \*

თბილისის ხელოსანთა თავის, ბ. სეროპიანციის შესახებ საჩივრები, რომ მისი არჩევა უკანონო იყო, გუბერნიის საქალაქო საქმეთა გამგეობას, როგორც იუწყებიან გაზეთები, უყურადღებოთ დაუტოვებია.

\* \*

მამა დიმიტრიმ (აბაშიძემ), რომელიც უნივერსიტეტის კურსის შესრულების შემდეგ კიევის აკა-

დემიაში შევიდა და ბერათ ალიკეცა, ამ წელს შევნიერთ დაასრულა აკადემიის კურსი. კურსის დასრულებასთანავე იგი მღვდელ-მონაზონათ აკურთხეს. ამბობენ რომ არქიმანდრიტ კავკასიის ადგილზე ნიშნენ, მას მისიონერთათ.

\* \*

იმერეთის ეპარქიაში სამრევლო სკოლების მეტელაყურეთ დამტკიცებულია ქუთ. სემენარიის მასწავლებელი მელიტონ კელენჯერიძე, რომელიც თავის სურვილისამებრ მღვდლათ უნდა ეკურთხოს („მწყემსი“).

\* \*

თბილისის საბაღოსნო სკოლას მოელის გადაკეთება და მანამ, დროებით, სკოლის ზედამხედველობა ჩააბარეს აგრონომს ს. ნ. ტიმოფეევს, ბუნების მეტყველების მასწავლებლათ დაუმტკიცებინა ლ. დ. პა-რონიანცი და სხვა საგნებისა — ტურჩინსკი.

\* \*

ლენერალ-მაიორ დ. ი. მესხელოვს, როგორც „ტფილისის ფურცელი“ ვაუწყებს თხოვნა გაუზღვნია პეტერბურგში, სადაც ჯერ არს, რომ ნება მიეცეს ყოველ დღიური გაზეთის გამოცემისა ქართულ ენაზე-სახელათ „წყარო“.

\* \*

გურია-სამეგრელოის ეპარქიის სამღვდლოების კრებაზე ბაასი ყოფილა სანთლის ქარხანის შესახებ და ეკლესიებისათვის წიგნების შეძენაზე („მწყემსი“).

\* \*

ლეჩხუმის მაზრის სამღვდლოება, რომელიც აქამდის გურია-სამეგრელოის ეპარქიაში ირიცხებოდა, ახლა უკვე მიუწერიათ იმერეთის ეპარქიისათვის.

\* \*

ამ დღებში გამოვიდა ახალი განკარგულება სახალხო განათლების სამინისტროსი შესახებ იმ პირთა გამოცდესა, რომლებიც ოჯახში ემზადებიან გიმ-

ნაზიისათვის, და გიმნაზიაში ესწრებიან მხოლოდ წლიურ გამოცდაზე. თანახმათ მინისტრის განკარგულებისა „ამ პირთ ნება ეძლევათ ყოველ წლივ გამოცდელ იქმნენ ერთნაირად გიმნაზიელებთან, ე. ი. გამოცდელ იქმნენ მხოლოდ იმ საგნებში, რასაც სწავლობენ კლასში, რომლის ეგზემენს იქერენ. აქამდის კი ვინც რომელსამე კლასში ეგზემენს იქერდა, იმისგან თხოულობდენ ყველა საგნების ცოდნას, რასაც კი მდაბალ კლასებში ასწავლიან.

\* \*

განჯის გუბერნიაში 1895 წელს იარ ზკინის სამადნეულოში უპოვიათ სულ 305,200 ფუთი ზკინის მადანი: აქედან 299,200 ფუთი მარტო ხას-მამედის სამადნეულოში, რომელიც ამ ჟამათ ეკუთვნის ქედაბექის ქარხანას ძმათა სიმენსთა. დანარჩენი 6,000 ფუთი უპოვიათ ვაჭარი მოსწემელის სამადნეულოში.

\* \*

იმერეთის ეპარქიალურ გაბრიელის საქალებო სასწავლებელში მოსამზადებელ კლასებში მიიღებენ ყმაწვილებს პირველ ენკისთვიდან. თხუნებში მეტრიკული აღმოწერილობითურთ უნდა წარდგინდეს იქმნეს სასწავლებლის საბუქოს სახელზე არა უგვიანეს 2 აგვისტოსა („მწყემსი“).

\* \*

- რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი გამოცემანი:
- 1) თავადის ქალი. შრომა და ფუფუნება, მოთხრობა სოფიო ურბნოვსკისა, თარგმნილი და გამოცემული ნ. ავალიშვილისაგან, თბილისი, 1896 წ. 327 გვ. ფასი 60 კაპ.
  - 2) უკუდავი სარდალი და რჩეული ლექსები ცახელისა. გამოც. მ. ლალიძისა, ქუთაისი, 1896 წ. გვ. 80; ფასი ორი შაურბი.
  - 3) ცაიხა (ესკიზი) ს. ქეჩიანიისა. ახალ-სენაკი, 1896 წ. გვ. 32, ფასი 5 კაპ.
  - 4) Кавказская жизнь. Художественно-литературный сборник. Книжка I. გვ 68+4 ნოტებისა. ფასი ერთი მანეთი.

\* \*

რამდენი გულის შემზარავი ამბები ხდება ამ ჩვენ თბილისში ვინ იცის, მაგრამ ყურადღება კი არსაიდან არის, თუმცა ფრიად ყურადღების ღირსია ისეთი ამბები, რომელთაგანს ერთს მოგახსენებთ ახლა. ბევრი მავალითები იყო იმისა, რომ დალაქებმა ამა და ამა კაცს კბრლის ამოღების ნაცვლათ მთელი ყბა მოაძრო და ამის გამო კაცი გარდაიცვალა და სხვა. ბევრა იმისთანა დალაქები, რომლებიც არწმუნებენ თავიანთ „პაციენტებს“, რომ ჩვენსაეთი კარგთ და ადვილათ ვერც ერთი ნასწავლი კბილის ექიმით ვერ ამოიღებს კბილსო და ამასთანავე ჩვენზე ბევრით მეტ გასამრჯელოს ღებულობენო.

ამგვარი და სხვა მომხიბვლელი სიტყვებით მო-

ჯადოებული უეცი ბაღია მართლა ვარდება კბილების მკლველ დალაქების საშიშარ მახეში. ესენი აეთმყოფს დაწვეწენ იატაკზე, რომ უფრო კარკავთ მოსწიონ მარწუხნი, დაახიჯებენ გულზე მარცხენა ფეხს, მოუქერენ სამკვდურის მარწუხს და შესანიშნავი ძალ-ღონით დაქანებენ კბილს, რომელიც ან ჩაიფშენება და ან ყბიანათ მოვარდება. ორივე შემთხვევაში აეთმყოფს ყბა საოცრათ უსივდება, დანარჩენი სალი კბილებიც ერყვეა და ამგვართ სამუდამოთ სახიხრდება...

ამას წინათ სემენარიის პირ-და-პირ ერთ დალაქთან თავის გასაკრეჯათ შევედი და ცოტა ხანს შემდეგ ვილაქ რუსის დედაკაცი კენესით შემოვიდა. დალაქმა ჩემი თავის ვაკრეჯა შევირდს ჩაბარა და თითონ, როგორც ზევით მოგახსენეთ იმნაირი ცოდნა ხელოვნებით პირჯერის გადაწერას შემდეგ შეუღვა მწუხარე დედაკაცის კბილის ამოგლეჯას: ორ ჯერ ისე უმოწყალოთ დაქნია მარწუხნი, რომ დედაკაცი ერთიანათ შეინძრა და მორთო გულის შემზარავი ყვირილი, მაგრამ დალაქი მაინც არ ეშვებოდა. ამ სცენის დანახვამ გამოაჩიყანა მოთმინებიდან და ეუთხარა დალაქს: „ამ წუთში გაუშვი ეს ქალი აქედან და კვლავაც აღარ ვაბეღო ასეთი მხეცური საქმე, თორემ იცოდე მაგისტრს-ს სასტიკათ დაჯჯის კანონიმეთქი“. მაგრამ მან კიდე მე დამიწყო საყვედური: — მე ვთქობდი, შენ იმისთანა მუშტრებს მიშოვი, რომ ორი კროში გამიერჩე, როგორც სხეებში, თორემ „ზაპრეშენი“-ს გაკეთებას როგორ მოელოდი შენგანო, მომიგო მან.—ან „ზაკონს“ რა ხელი აქვს ჩემთან, როცა მე ჩემი ხელობით უნდა ვიცხოვროვო—“ დაუმატა დალაქმა.

გულ-შემოყრილი დედაკაცს წყლის სსურება დაუსწყო, რომელიც ძლივს გონს მოვიდა...

თუთხმეტი დღის უკან დალაქის შეგირდი ენახე შემთხვევით და იმ დედაკაცის ამბავი გამოეკითხე: —ის ეტლით წასაყვანი გაგვიხდა, რადგან ორი კბილი კიდე ჩამეტერა და ღღესაც კიდე ძალიან ავთ არის. თუ რამე ნიეთები ჰქონდა, სულ წამოღებში დაჰყიდა, მაგრამ მისი მორჩენისა კი რა ვითხრო— მომიგო დალაქის შეგირდმა.

საქმე ის არის, რომ მარტო კბილის ამოგლეჯით არ ისაზღვრება მათი თავ-გასული მენე მოქმედება. პირ-იქით, ესენი კიდე უარესს ჩადიან: „მკრეჯავი“ დალაქები ძალ-და-ძალ ეცნობიან ვინმე ვინმეებს, რომ მათი ექიმობის ხმა გაავრცელონ ხალხში.

რომ მოყვეთ ამ გაიძვერა დალაქების უკულ-მართ მოქმედების აღწერას, ძლიერ შორს წავიყვანს და ამიტომ აქ შეეჩერდებით. ხოლო ამას კი ვიტყვით, რომ ასეთი არა მკითხე მკურნალთა ალაგმვა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს. იმედია, ვისგანა ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევს ამ სამწუხარო გარემოებას და ასეთ საშიშარ განსაცდელისაგან იხსნის გაქირებულ ხალხს.

მეთვალყურე.



\* \*

ქუყუნა წვიმამ მწვანე მინდორი  
ზურმუხტ ცვარებით ოდნავ მონამა  
და რა ისევ მზემ გაპააშუქა  
კვლავ შემოსძახა „ვარდის მონამა“.

გრილმა ნიაემა ფერად მდელკლას  
ემხით, სილალით გადაურბინა,  
მთისა მწვერვალსა მოშორდა ნისლი  
და ძირს უფსკრულში მან ჩაიძინა.

ვითა საყვარელს ქალმა ლამაზმა,  
ცრემლებ ქვეშიდან იამ შესცინა.  
გადაიშალა და თითქმის შერცხვა,  
თაეი დახარა ბილილას წინა.

ახ, ნეტავი შენ მთაო მაღალი!  
კვლავ შუბლ-გახსნილი დაცქერი არეს,  
მითხარი, მითხარ ბედო მტარევალო,  
ჩემთვის როდის-ღა გამოიდარებს?!

ო. კვლოშვილი.



### საყურადღებო ამბები.

**წ**იქნი-ნოგოგრაფი 26-სი იენისა. კიდევ ორიო-  
დე სიტყვა „რუსეთის ყოველგვარ საქონლის  
გამოფენის შესახებ. როგორც მკითხველმა  
უწყის, ეს გამოფენა ყველა ცნობის მოყვარე კაცი-  
სათვის დიდათ საინტერესო უნდა იყოს, და ამიტომ  
დიდი იმედი ჰქონდათ გამოფენის გამგეობას და ექს-  
პონენტებს, რომ დიდ ხალხს მიიზიდავდნენ; მაგრამ  
როგორც ეტყობა, ასეთი იმედი და მოლოდინი, სა-  
მწუხაროთ, ვერ გაუმართლდათ. ჩანს მართა იმედი  
და საქონლის გამოფენა საქმარისი არ ყოფილა ხალ-  
ხის მისაზიდაეთ და ცნობის მოყვარეთა დასაკმაყო-  
ფლებლათ; გამოფენაზე მოსულ ხალხს დიდათ აბრ-  
კოლებს სხვა-და-სხვა გვარი წვრილმანი ნაკლულეე-  
ნებანი. თუმცა ჩვენ ვამბობთ წვრილმანი ნაკლულე-  
ენებო, მაგრამ ვინც კარგათ დაუკვირდება ყო-  
ველ აქაურ უწყსოებას, თვით დარწმუნდება, რომ  
ეს წვრილმანი სრულებით არ არის. როგორ გგო-  
ნია, მკითხველო, წვრილმანია ის, რომ შაურისა და  
აბაზის ადგილას მანეთები და თუმენები დახარჯო

მარჯენიე და მარცხნიე?  
ჩვენ ვამბობთ აქაურ ცხრე-  
რების სიძვირეზე. აი, აი-  
ღეთ, მაგ., აქაური სახლები  
და სასტუმროები. თითო  
პატარა ოთახს, სადაც 3-4  
ცი სულს ვერ მოითქვამს, 2—3 მანეთ ნაკლებ ვერ  
იშოვი დღე და ღამეში; ამას დაუმატეთ ერთი-ათათ  
საჭმელ-სასმელის ფასები. აქაურ სასტუმროებში წვნი-  
ანი საჭმლის თითო კერძი 1 მან. და 25 კ.  
და შემწვარი 1 მან. და 60 კ. ნაკლებ არ შეიძლე-  
ბა. სასმელები: ერთი ბოთლი ვითომ კახური ღვი-  
ნისა 1 მან. და 50 კაპ. და მეტი; ევროპიელ ღვი-  
ნოზე ნულარას იტყვიეთ და ასე ამგვართ სხვა სასმე-  
ლებიც. აბა წარმოიდგინეთ ასეთი სიძვირე რა ხალხს  
მიიზიდავს და ან რა სარგებლობას მოუტანს გამო-  
ფენას. ვისაც ორი და სამი კვირით უნდა დარჩენა  
ის სამ დღეზე მეტს ვერ მოიცდის აქ, რადგანაც ჯი-  
ბე ნებას არ მისცემს. ამ ცოტა ხნის განმავლობაში  
კი, აბა რის გაწინაგვას და დათვლიერებას მოასწ-  
რებს. მით უფრო, რომ გამოფენის სხვა-და-სხვა გან-  
ყოფილებანი ერთი-ერთმანეთზე მოშორებით არიან



გამართული, ეგრეთ წოდებული „ცენტრალიური რიგის“ გარდა. სწორეთ ასეთმა უზომო სიძვირემ აფიქრებინათ უტხოველ მოგზაურებს, როგორც გაზეთი „Нижегородский Листок“-ი გვაუწყებდა, რომ საერთო დაქირავებიათ საკუთარი ვაგონები, რომლებითაც კიდევაც მოგზაურობენ და საცხოვრებელათაც ღამე შიგ არიან.

სხვათა შორის ერთ სასაცილო ამბავსაც გავაგებინებთ: აქ არის აშენებული კიბეებიანი მაღალი კოშკი (ციტომ-და ეიფელის კოშკი); ეს კოშკი აუშენებიათ იმ განზრახვით, რომ ვინც ავიდოდა იმის წვერზე, იმას შეეძლო მთელი გამოფენა ერთი გადმოხედვით დაენახა; მაგრამ საუბედუროთ, მის აშენებელს, ეგონებ, საძირკველი დაიწყებია, რადგან, როცა რამდენიმე კაცი ასულა მაღლა, კინალამ წაქცევიათ ეს კოშკი; ახლა ამ კოშკს ძირი გამოთხრილი აქვს და ზედაც აწერია: „ამ კოშკზე ასელა სასტიკათ აღკრძალულაო“. ყველა მნახველი იცინის და იძახის: მაშ რილასთვის აუშენებიათ თუ კი ასე-ლა არ შეიძლებაო.

სხვათა შორის ამ გამოფენაზე მეტათ საინტერესო სანახაურა საუფლისწულო მამულებისაგან მოტანილი ღვინის დასაყენებელი მანქანები, სარდაფებისა და მარნის ჭურჭლები, სხვა-და-სხვა მოდელეები, ვაზების ნიმუშები და სხვა-და-სხვა ღვინოები ბოთლებში. სხვათა შორის, ამგვარი ნიმუშები კახეთიდანაც ბევრია. დასასრულ არ შეგვიძლია, რომ არ უსაყვედუროთ ჩვენ კახელ მემამულეებს: ნუ თუ არ შეეძლოთ თავიანთი ღვინოების ნიმუშები გამოეფინათ აქ? თუ მენდღების მიღება არა სურდათ, კარგ ფასათ მაინც გაყიდდენ აქ, სადაც კახური ღვინოები ასე ძვირი საშოვარია; კახურის სახელით კი რაღაც სულ სხვას ჰყიდიან.

შაქრო ი. კახნაიკ.

\* \*

გუგია. ვინ არ იცის, რომ თითქმის ნახევარი გურიისა და აგრეთვე სამეგრელოს სახნავ-სათესი მიწები მდებარეობს მდ. რიონის ნაპირებზე. ეს მიწები არის ამ ხალხის მარჩენალი; მაგრამ, საუბედუროთ, ამ ჭამათ ეს უმთავრესი წყარო ცხოვრებისა ხელიდან გვეცლება. ორი წელიწადია, რაც რიონი განუწყვეტლივ გადმოდის ნაპირებიდან და ჩვენი სარჩო-საბადებელი, ჩვენი სიმდიდრე: სიმინდი, ერთიანთ ილეკება და ისპობა. სულ მცირე ათი-ათასი ქცევა მიწა და ამ მიწებიდან ყოველ წლიური შემოსავალი არა ნაკლებ ხუთასი ათასი ფუთი სიმინდი რიონის მღვრიე წყალს მოექცა ქვეშ და განად-

გურდა. ხალხი სასოწარკვეთილებამ აიტანა. ელოდენ აი, აგერ ჩავარდება წყალი და გეაცლის ხენათესვას, აი აგერაო, მაგრამ ამოათ. რიონი უფრო და უფრო მძინვარებს. ჰაწია წვიმა საკმაოა, რომ წყალმა იგრიალოს და მოედოს მთელ ხეობას. დღეს კი ნახევარი გურია მოკლებულია მჭადს და რალა მოელის მომავალში!

საიდან უნდა ეელოდეთ ახლა შეველას? ან შეიძლება კი საიდანმე შეველა? ეჭვი არ არის, რომ შეველა შესაძლებელია, მაგრამ კითხვა იმაში მდგომარეობს, ვისგან უნდა მოველოდეთ ამ შეველას. ყველასათვის ცხადია, რომ ამ საქმეში მოთაფეობა იმას ეკუთვნის, ვის საკუთრებასაც უმეტესათ ეს მიწა შეადგენს. ეს წოდება არის თავად-აზნაურობა; მაგრამ თავად-აზნაურობას, რასაკვირველია ამ საქმეში დიდი დახმარება ეჭირება სხვისაგანაც, მართო ის ვერაფერს გახდება; აქ საჭიროა საერთო მოქმედება. რა არის საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ ეს უბედურება? გაკეთდეს დამბები იქ, სადაც საჭირო არის. ამას დაქირდება სულ ბევრი წლიური შემოსავლის ერთი მეოთხედი. ჩვენ კი ჩვენივე დაუფერობით დაეკარგეთ შარშანდელი შემოსავლის უდიდესი ნაწილი და წელს კი თითქმის სულ მთლათ. მაგრამ ეს რა არის? თუ ვერაფერი მოვაგვარეთ, თუ ასე უზრუნავათ შევატკერდით ერთი-მეორეს, მომავალში კიდევ უფრო დიდი განადგურება მოგველის.

ამ დღეებში თთ. მაჭუტაძეებმა და რამდენიმე აზნაურმა ადგილობრაი პოლიციის დახმარებით შეჰყარეს საზოგადოება დაბა ლანჩხუთში და სოფლის მწერალმა მიმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით: „ღუბერ-ნატორს ქალაღდს ეაძლეეთ, რომ დაგვეხმაროს: ჩვენი მუშაობით და ხარჯით რიონის ნაპირზე დამბა გაგაკეთებინოს და ამანე ხელი მოაწერეთო“. საზოგადოებამ ამ ქალაღდს ეჭვის თვალით შეხედა, მათში გაისმოდა ამნაირი სიტყვები: „არაეთარ ქალაღდს ხელს არ მოვაწეროთ, თუ რამე გვეშეელება, გვიბრძანონ, ეიმუშავებთ და ფულებსაც გადავიხდით, თუ არა, ვინ იცის, ხელს რანე მოგვაწერინებენ და შემდეგ რისი ვალდებული გავეხდითო. ამ დამბას ჩვენ „ყაძახებს“ გავგაკეთებინებენ და სხვები კი, რომლებსაც ამ ადგილებში ჩვენზე მეტი წილი აქვთ, ქე დაბრძანდებიან სახლშიო“. თუ რამდენათ სამართლიანია საზოგადოების ამგვარი ჩივილი, მკითხველი თითონაც მიხედება, თუმცა-ღა ამ შემთხვევაში არ ვფიქრობ, რომ უმეტესი ხარჯი ამ დამბის გაკეთებაში თავად-აზნაურობამ არ იტვირთოს. არ იქნება ურიგო, რომ ამ ფრიად საჭირო საქმის მოსაწყობათ იმისთანა პირებსაც მიმართონ, რომლებიც ხალხთან დაახლოებული არიან და ამასთანავე გავლენიანიც.

ამგვარ პირებიდან უნდა შედგეს კომისია, რომელ-  
შიაც ყველა წოდებიდან უნდა იყოს წარმომადგენ-  
ლი, თვით ხალხისაგან არჩეული და არა მეტიჩარა.  
კომისიას უნდა მიენდოს ამ საქმის განხორციელებ-  
ა, ე. ი. დამბის გაკეთება.

ღანხსუთელი.

\* \*

სოფ. კუხი (ქუთაისის მაზრა. \*) ავტო მერვე  
წელიწადი გადის, რაც აქ დაარსდა „მეაბრეშუმეთა  
ამხანაგობა“. ხალხის სიხარულს საზღვარი აღარ  
ჰქონდა, რადგან ამხანაგობის მიზანს შეადგენ-  
და ხალხის დახმარება და არა ფულის მოგება. ამის  
გამგონი გლეხი სიხარულით იღებდა ჯიბიდან უკა-  
ნასკნელ გროშს და ისე ყიდულობდა პაის; იქნება  
ღმერთმა ქნას და რაღაც ორიოდ პარკი მოგვივა  
ჩვენ დროზე გავეიდოთ ცოტა რიგიან ფასათ, და ჩარ-  
ჩების ხელიდან გამოვიხსნათ თავიო. გასულ წელს ამ-  
ხანაგობამ პარკი ბლომათ იყიდა და კიდევაც მოი-  
გო; შეიძინა საქსოვი მაშინები და დღემდის დიდი  
მუშაობა იყო ამ ფაბრიკაში. ჩვენც სწორეთ ამას  
დამნახველნი ძლიერ განარებულნი ვიყავით. მაგრამ  
დღეს, როცა პარკი, როგორც იტყვიან, მოზღაფდა  
და ხალხის სიხარულით ფეხზე არ იდგა, იმის მოლო-  
დინში, რომ ცოტა რაიმე გვერგებო, თუთის ფოთ-  
ლის ფასის გარდა, რაც წრეთს მეტის-მეტი ძვირი  
იყო, „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“ ძლიერ ცუდათ  
მოგვეპყრა. ნუ თუ ეს არის საწყალი გაჭირებული  
ხალხის დახმარება და ასრულება იმ მიზნისა, რომე-  
ლიც ამხანაგობამ დაისახა დაარსების თანავე? აი, რა  
მდგომარეობაშია დღეს საქმე. აბრეშუმის თესლი,  
როგორც ეტყობილობთ, სამ ფუთამდე დაურიგებია  
ამხანაგობას. ახლა წარმოიდგინეთ, ამ სამ ფუთ თეს-  
ლის პარკის შენახება რა მომზადება დაჭირდებოდა,  
თუნდაც ნახევარი უფარგისი გამომდგარიყო? ეს ჩვენ  
ამხანაგობას აზრშიაც არ მოსეოია! იმას ისევე იმ  
შარშანდელი შესანახავი მოფარდულებით სურდა  
დაკმაყოფილებულიყო. დღეს, როცა ერთბაშით მი-  
აწყდა პარკი ამხანაგობის პარკეთ-საწყობს (ეისაც ამ-  
ხანაგობიდან ჰქონდა ნაყიდი თესლი, იმას ნება არ  
ჰქონდა სხვისთვის მიეყიდა პარკი), ამხანაგობამ რაც  
ადგილი ჰქონდა შესანახავი სულ გარეშე პირების (ეი-  
საც „პაი“ არ ჰქონდა) პარკით გაამსო და ჩვენ ამხანა-  
გები პარკეთ-საწყობის ეზოდან დავეიფრინა ჩვენი ურ-

მებით. დაგვიპირდა, ერთ თვეს შემდეგ მოიტანეთო:—  
კი ბატონო, მაგრამ პეპელათ რომ გამოვა?! მერე  
რომ მოვიტანო, მიიღებ?—არა, გამოვიხარშავეთო და  
ისე წაიღეთო.—შე დალოცვილო გეთქვა, როდესაც  
თესლი მოგვეყიდეთ და ორი და სამი პარკი თესლის  
მაგიერ, ან ერთს ან სულ არ წავეიღებდით. დღეს კაცი,  
ქალი, ხარი ერთათ ვიხორცილებით მინდორში და პატ-  
რონი ჩვენი არავინ არის! რისთვის დაგვემართა ეს?  
მაგრამ, მოგეხსენებათ, ეაჭრობამ სხვა საზოგადო მიზ-  
ნები არ იცის. ორი შაურცი რომ აგველო გირფან-  
ქაში, მითაც მოგებული ვიქნებოდით, ოლონდ კი  
გაგვემართა ხელი. დღეს ამხანავს გირფანქაში ეძლე-  
ვა 25 კაპ., გარეშე პირებს კი 20 კაპ.; რა-  
საკვირველია, ამხანაგობისათვის უმჯობესია გარე-  
შე პირების პარკი იყიდოს, რაც შეიძლება უფრო  
ბევრი, ვინემ ამხანავის. ამხანავებს პარკი სახლში უყ-  
რიათ, რომელსაც, რასაკვირველია, ამხანაგობა არ მო-  
ითხოვს, სანამ ნაყიდ თავის პარკს არ გაჰყიდის და იმ ფუ-  
ლით ჩვენ არ დაგვკამაყოფილებს. ახლა რომ ფული  
ისესხოს, სარგებელი ბევრი ერგება და ამისთვის ჩვენც  
დავისაჯეთ სასტიკათ და ამხანაგობაც ყვედრებას ვერ  
გაღურჩება. ამას შემდეგ საქირთა გავაკეთათ თითოე-  
ულ სოფლის ყურეში სახარობი მანქანები და სანამ  
მყიდველები ღირებულ ფასს ნაღდათ არ მოგვეცემენ,  
ისე პარკს არავინ დაეთმობთ. ეს ყველა იმის ბრა-  
ლია, რომ ბ. ნ. წ—ლს მომხმარე ამხანავი არავინ  
ჰყავს. ერთი კაცი, ნათქვამია ქამაშიაც ცოდვა არი-  
სო; რაც უნდა ენერგიულათ იშრომოს—ვერას გახ-  
დება, თორემ ბ. ნ. წ—ლს ენერგიული შრომა არ  
დაუკლია.

ამხანაგთაგანი.

\* \*

სოფ. კლსოტიდან (კეკელიის მაზრა) გეტყობინე-  
ბენ: ამ სოფელში ავტო ერთ თვეზე მეტია, რაც  
საქონლის ჰირი მძვინვარებს. მთავრობის განკარგუ-  
ლებით, აქ ბეითალები არიან დანიშნული. ბეითა-  
ლებისაგან გაშინჯულ საქონელს კომისია აფასებს;  
თუ ცოტა ავთმყოფობა შეეცუო საქონელს, მაშინ-  
ვე ხოცვენ მას და კომისიისაგან დადგენილ ფასს  
აძლევენ პატრონს. ამ ზომით იმედი აქეთ, რომ  
სხვა სოფელში მინც აღარ გაღვიდეს საქონლის  
ჰირი.

სოფ. ხუმელაგამიაც რაღაც ჰირი (ხოკი) გაჩნდა,  
რომელიც მუსრს აღდნს კამენებს.

\* \*

\*) ჩვენ საჭიროთ დაინახეთ საქმის გამოსაწყვე-  
ჭათ ამის დაბეჭდვა.

რედ.

სოფ. საბთიქალა (თბილისის მაზრა). ჩვენ სო-



ფელში პეტრე-პავლობის დღეს გულის შემზარავი საცოდაობა მოხდა. აქაური გლეხი ალექსი ჯახტანიძე ეენახში თუთის ხიდან ჩამოვარდა და მუცლოთ მარგილზე აეგო. მის ყვარილზე მეზობელ ეენახიდან მოცეინდა ხალხი, ამოაძრეს მარგილიდან, მაგრამ საწყალს განთავისუფლების უმალ ნაწლებები სულ მთლათ კარში გამოუყიდა; დააწინეს მაშინვე ფარდაზე, რომელიც იქვე ჰქონიყო თუთის დაბერტყის დროს ქვეშ-გაშაშლელათ და მიიყვანეს შინ, სადაც საბრალო კაცმა სამი საათი და იტოცნლა და საშინელ მწუხარებაში დალია სული; თუმცა ექიმი მოაშველეს, მაგრამ ევრას გახდა.

აქეთ ძალიან არის გამრავლებული მინდერის თავი, რამაც დიდი ზარალი მოგვცა აქაურებს: ქე

რები სულ ერთიანათ გაანადგურა და ახლა პურსაც მიჰყო ხელი. ყანას რომ შეხედო განიდან შეენიერი გეჩენებთ, მაგრამ რაკი შიგ შეხვალთ ერთ ღეროს ეერ ნახეთ მარცელიანს. რა ქნას საწყალმა გლეხმა კაცმა, როდესაც მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგდარი ხელიდან ეცლება. აქაური ბოქაული ბ-ნი ნაცვალოვი დაგვირდა თავის წამალის, დიდი მადლობის ღირსი იქნება ბ-ნი ნაცვალოვი, თუ დაპირებულ დროზე მოგვაშველებდეს, რომ იმ ყანებს მაინც ეშველოს რამე, რომლებიც ჯერ თავებისგან ხელუხლებელია, თორემ თქვენი მტერი, ჩვენ შიმშილით სული ამოგვხდეს.

სტუჰაძი.

ყ ა ნ დ ა რ კ ი .

(დას.სრული \*)

თითქმის მთელი წელიწადი იყო ქან დარკი დატყვევებული, და ამ ხნის განმავლობაში იმდენი დამცირება და შეწუხება აიტანა, რომ სხვა მის ადვილს ჰკუიდან შეცდებოდა. მძიმე ჯაქვით ხელ ფეხ შეკრულ ქალს დღე და ღამე თავს ადგა ხუთი მცეელი, რომელნიც მოურიდებლათ ექცეოდნენ მას და რამდენჯერმე უნდოდათ მისი გაუბატურება. ამ განსაცდელსაგან ერთხელ გადაარჩინა თვით გრაფმა ვარეკმა, რომელმაც გაიგონა ქალის კიეილი; მაგრამ გრაფის საკციელი, რასაკვირველია, მხოლოდ მითი აიხსნება, რომ მას სულ სხვა გვართ უნდოდა ქანას დასჯა. ინგლისელებს ძვირათ უღირდათ ქანა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ,



ყ ა ნ დ ა რ კ ი ს ცეცხლით დასჯა.

რომ იგი როგორმე თავისით არ მომკვდარიყო. ამიტომ ერთხელ, როდესაც ის ავით გახდა, მაშინვე ექიმები გამოუკვანეს და მოარჩინეს.

მთელი ღოთხი თვე გაქიანურდა ქანას გასამართ-

\*) ის. „ჯეკალი“ № 28.

ლებდა. ყოველ დღე ექვსი საათის განმავლობაში მას აძლევდნენ ათას-გვარ კითხვებს; იმაზე თუ როგორ პასუხს მისცემდა ქანა თითოეულ კითხვაზე დამოკიდებული იყო, ფორმალურათ მაინც, მისი ბედი. მაგრამ ყოველ კრიმინალურ კითხვაზე ქანა მარტივ და გონიერ პასუხს იძლეოდა. მას უმტკიცებდნენ: ის ჩვენებები, რომელსაც შენა ხედავდი ღვთისგან კი არა ეშმაკისაგან იყვენ, და უარი თქვიო. ქანა ამტკიცებდა ამის წინააღმდეგს და თავის აზრზე მაგრა იდგა. ქანას სიტყვით, იგი ღვთისგან იყო მოვლენიებული, და სახელიც ამითი მოიპოვა ხალხში. მისი მსაჯულებები კი თხოულობდნენ მისგან შენანებას და უარის ყოფას. თუ ქანა უარს იტყოდა, მაშინ, რასაკვირველია, მას მაინც დასჯიდნენ, რადგან ამ უარს მისი მტრები საბუთათ გამოიყენებდნენ, ჩვენი ბრალდება თვით ბრალდებულმა სამართლიანათ იცნოეო. უპირველეს ყოვლისა კი მისი უარი იმითომ იყო საჭირო, რომ ხალხში მოესპოთ ქან დარკის გეგლენა და მატყუარათ გამოეყენათ. ქანას ვიღამაც ურჩია, შენი საქმე ბაზელის კრებაში გადაიტანეო, ან პაპს მიმართეო, მაგრამ ქანა იმდენათ გამოუცდელი იყო, რომ არ იცოდა არც ფორმა ამ გვარი აპელაციისა და არც მისი მნიშვნელობა ესმოდა. ეპისკოპოსმა კოშონმა ყოველ გვარი ხერხი იხმარა, რომ ეს არ მომხდარიყო და კიდევ გაიყენა თავისი სურვილი. მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა და ქანა თავის სიტყვას იმეორებდა. ბოლოს ამ გვართ წამებულ ქალს დაპირდნენ, რომ თუ უარს იტყვი, სასჯელათ მხოლოთ მონასტერში წასვლას გადაგიწყვეტთ, სადაც შენ კარგათ მოგეპყრობიანო. იგი თითქო დათანხმდა და იწყო ლაპარაკი ღმერთზე, ამბობდა, რომ პაპს სრულიათ ეგმორჩილებიო, მრწამს ეკლესიის უცოდველობაო, მაგრამ ჩემი საქმის მსაჯულათ კი მხოლოთ ღმერთი მიმჩნიაო. მისგან კი თხოულობდნენ, რომ ყოველი თვისი სიტყვა და საქმე უარ ეყო.

გამოძიების დროს ცდილობდნენ როგორმე თავგზა დაეზნათ საცოდავი ქალისთვის და ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პირი აძლევდა სხვა-და-სხვა კითხვას. ამ გზით რომ ვერაფერი წამოაცდევინეს, მაშინ სხვა ხერხს მიმართეს: ციხეში მასთან ერთათ ჩაადგეს ვიღაც ლოაზელერი, რომელიც დარიგებული იყო, რომ უნდა წამოეთქმევიანებინა რამე ქანასთვის. როდესაც ეს დარიგებული პატიმარი ელაპარაკებოდა ქანას, იმ დროს სხვები გარედან ყურს უგდებდნენ კედელში განგებ გაკეთებულ ხერხლის საშუალებით: იქნება როგორმე გამოტყდესო.

24 მაისს 1431 წ. ქან დარკი მოიყვანეს რუენის სააბატოს ეზოში და წაუკითხეს მსაჯულთა დაწვეტილება, რომლის ძალით იგი იმავე დღესვე

უნდა ცეცხლზე დაეწვათ, თუ უარს არ იტყოდა. მან მოისმინა ქადაგება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: სიციხეილი და ცოდვა კარლოს ვალუასთვის, რომ იგი აჰყვა მწვალებელ ქანასო. უკანასკნელმა შემდეგი სიტყვებით გააწყვეტინა ქადაგება: „ილაპარაკეთ ჩემზე, ნუ შეეხებით კარლოსს, რომელიც ნამდვილი და უკეთილშობილესი ქრისტიანია“.

განაჩენი იმავე დღესვე უნდა მოეყვანათ აღსრულებლაში. ჯალათი ეტლით ელოდა ქანას, რომელსაც იგი უნდა წაეყენა დასაწვავათ. ქანა შეკრთა და წარმოთქვა: თუ სულღერმა მაგებმა გადაწყვიტეს, რომ ჩემ ჩვენებებზე ლაპარაკი და მათი რწმენა ცუდია, მე აღარას ვიტყვი.

მაშინ მას წაუკითხეს უარყოფის ფორმულა, რომელიც მან ღიმილით და ქუთიდან შემცდარი ადამიანსავით გაიმეორა. მან არ იცოდა წერა და მხოლოთ ჯვარი უნდა დაესვა. ინგლისის მეფის მდივანს მისი ხელი თავის ხელში ეჭირა და ისე დაასმევინა ჯვარი. ბილწმა კოშონმა, რომლის წყალობით მოხდა მთელი ეს საქმე, წაიკითხა განაჩენი. ქანას გადაუწყვეტეს საუკუნოთ მონასტერში დაპატიმრება, სადაც მას ექნებოდა მხოლოთ „პური ვეებისა და წყალი მწუხარებისა, რათა შეინანოს ცოდვა თვისი და არღა შთაფარდეს კვალათ“.

ინგლისელები, რომელნიც იქ დაესწრენ, მეტათ აღელდნენ, კოშონს ორპირობა დააბრალებს და ამბობდნენ, რომ კაროლმა ტყუილათ დახარჯა ამოდენი ფულიო, მაგრამ ერთმა მსაჯულთაგანმა შენიშნა: ნუ სწუხხარო, ჩვენ მალე დავიჭვრთ მაგასო.

ამ გვართ საფრანგეთის სამღვდლოებამ მიახწია თავის სასურველს: ქან დარკი მისივე ჩვენების ძალით დამცირდა ხალხის თვალში და ისიც დამტკიცდა რომ ყოველი მისი საქციელი და სიტყვა ეშმაკეული იყო. ქანას ეგონა, რომ რადგან იგი დემოჩილა ეკლესიას, მას გამოიხსნიდნენ ინგლისელების ხელიდან და სამღვდლოებებს ჩაბარებდნენ. მაგრამ იმედმა უმტყუნა, როდესაც მან მოთხოვა დიპირებული სიტყვის ასრულება, ე. ი. მისი მონასტერში მიცემა, კოშონმა დაიღრიალა: წაიყვანეთ, იქ, საიდანაც მოიყვანეთო. ქანა ჩაადგეს ისევე ციხეში და ჩააცვეს ქალის ტანისამოსი, შეაკვეცეს თმა და კვლავ დაადგეს ჯაჭვი. მასთან დღე და ღამე სამი ინგლისელი იყო, გარეთ კი კარებს ორნი ყარაულობდნენ. ქანამ ფიცი მისცა, კაცის ტანისამოს აღარ ჩაიცვამო, მაგრამ ისეთ გარემოებაში ჩააყენეს იგი, რომ ძალა უნებურათ ფიცი უნდა დაერღვია. ღამე მას მოჰპარეს ქალის ტანსაცმელი და გვერდზე კაცის ტანისამოსი დაუდგეს. ერთი ინგლისელი მივიდა მასთან და მოინ-

დომა გაუპატიურება, რადგან მაშინდელი შეხედულობით ქალწულობასთან ერთად მას უნდა დაეკარგა არა ჩვეულებრივი, ჯადოსნური ძალა. თავის დასაცავად ჟან დარკი იძულებული იყო ფიცი გაეტეხა და კაცური ტანისამოსი ჩაცევა. აი, სწორედ ეს მიზეზი გამოიყენეს მისმა მტრებმა და ხელმეორედ დასდეს ბრალი.

28 მაისს საპატიმროში მოვიდნენ მსაჯულები და ნახეს რომ ჟანა კაცურად იყო ჩაცმული. იგი აღელვებული იყო, რომ იძულებულ ჰყვეს თვისი სურვილის და ფიცის წინააღმდეგ მოქცეულიყო. როდესაც მსაჯულებმა ჰკითხეს, რათ დაუბრუნდი იმ ცოდვას, რომელიც შენ უარი ჰყავიო, ჟანამ უპასუხა: მე იმიტომ ჩავიციე კაცს ტანისამოსი, რომ რადგან კაცები მეხეიენ გარს, ეს უფრო შესაფერი იყო. ამხსენით ბოროტები, მომეცი თუკეთესი საპყრობილე, როგორც დამპირდით, და მეც ისე მოვიქცევი, როგორც ეკლესია მიბძანებსო. როდესაც ჰკითხეს, კიდევ მოგველინენ ჩვენები, რომელნიც შენ უარ ჰყავიო, მან უპასუხა წმინდანები კიდევ გამომეცხადენ და მისაყვედურეს, რომ სიცოცხლის გულისათვის ჩემი თავი მევე გაეწირეო. როდესაც მას მოაგონეს, რომ უმაღლესი სამღვდლოების წინაშე შენ უარი თქვი შენ ჩვენებზეო, ჟან დარკმა უპასუხა: ჭეშმარიტების წინააღმდეგ მხოლოდ ცეცხლის შიშმა მათქმევინა, მაგრამ ახლა კი ვაცხადებ, რომ სიკვდილი მიჩვენია ამ საპატიმროში ტანჯვასო. და უარს არაფერზე არ ვამბობო. თუ გინდათ ქალის კაზას ისევე ჩავიკვამ, სხვა კი არა შემიძლია-რაო.

— ახლა კი მაგის საქმე გათავდა! — მხიარულად შენიშნა ეპისკოპოსმა კოშონმა და გამოვიდა საპატიმროდან.

მეორე დღეს არქიეპისკოპოსის ეზოში კვლავ შეიკრიბა სასულიერო კრება. კოშონმა გადასცა მსაჯულთ თავისი საუბარი ჟანასთან. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ჟანა კუდიანია, შეპყრობილია ავი სულით და თითქმის ერთხმად გადაწყვიტეს, გადაეცეს ეს საერო მთავრობას დასაჯელათ, „რათა იგი ღმობიერათ მოეპყრასო“. ხოლო ეს „ღმობიერება“ იმაში გამოიხატებოდა, რომ თავის მოკვეთის მაგიერ საკირზე უნდა დაეწვათ. ჟანა იმ დღეს სამსჯავროში აღარც კი მოუყვანიათ და ეს განაჩენი უიმისოდ დადგინეს. ეშინოდათ, რომ მოიყვანათ, ვაი თუ გამოაცხადოს, რომ მისი წინანდელი უარყოფა თვის სიწმინდეზე ნაძალადევი იყო და ხალხმა ისევე ირწმუნოსო.

30 მაისს დილით კოშონის ბძანებით მოვიდა საპყრობილეში ბერი ლაფენიუ და გამოუცხადა განაჩენი, რომელიც, მას სიკვდილით სჯიდა როგორც

კუდიანს და ეშმაკეულს. ამის გაგონებაზე ჟანამ ქეითინი დაიწყო. ლაფენიუმ მიაღებია წმ. საიდუმლო. შემდეგ მოვიდა ეპისკოპოსი კოშონი, რომელსაც ჟანამ უთხრა: „თქვენი ბრალია, ეპისკოპოსო, რომ მე ეკვდები“. ჟანას ჩააცვეს ქალის ტანისამოსი, დილის ცხრა საათზე ჩასვეს ეტლში და წაიყვანეს რუანის მოედანზე. იქ დამზადებული იყო სამი ესტრადა მსაჯულებისთვის, პოლიციისთვის და თითონ ჟანასთვის და შორი ახლო საკირე. ნიკოლ მიდიმ თქვა ქდაგება, რომელიც ასე თავდებოდა: ჟანა, წარვედ მშვიდობით, რამეთუ ეკლესიას აწ აღარ ძალუქს შენი დაფარვა“. ჟანამ გულმოდგინეთ მოისმინა ქდაგება, სასოებით ილოცა და მიუტევა თვის მტრებს. კოშონმა წაიკითხა სასიკვდილო განჩინება: „უკეთუ რომელიმე წვერი, ანუ ასო ეკლესიისა ავით შეიქმნა, მაშინ მთელი ეკლესიაც ავითმყოფია. ვითარცა ავითმყოფი წვერი ჟან დარკი განდევნილ იქმნა ეკლესიის წიაღიდან და გარდაეცა მართლ-მსაჯულებას“.

ჟანას თავზე დახურეს ქელი, რომელსაც ზედ ეწერა: „მწვალლებელი, შთავარდნილი ცოდვასა შინა, უარყოფელი, ჯადოსანი“. იგი მიაკრეს ბოძზე, რომლის ქვეშაც დაწყობილი იყო შეშა. მან მოითხოვა ჯვარი. ერთმა გულკეთილმა ინგლისელმა ორი ნაფოტი შეჰკრა ჯვართ და მიაწოდა. ჟანა ემთხვია ჯვარს და გულზე შეინახა. როდესაც ავარდა ალი, ჟანამ წამოიძახა: „ჰოი, რუანო, რუანო მწუხარე ვარ, რომ შენ დიდი განსაცდელი მოგელის ჩემი მოკვლისათვის“. შემდეგ მოითხოვა წყალი. ჟანამ ერთხელ კიდევ ღალად ჰყო: „ხმა ჩემი იყო ხმა ღვთისა, ხმასა ჩემსა მე არა ოდეს არ შეუცდენივარ! ამას შემდეგ თავი გვერდზე გადახარა, უკანასკნელათ წამოიძახა: „ჰოი, იესო!“ და განუტევა სული.

ცეცხლი ჩაქრა, ჟანას ფერფლი სენას მდინარეში ჩაყარეს. აღსრულდა ქვეყნიური მართლ-მსაჯულება; მაგრამ ბევრი ტიროდა, და ზოგნი მსაჯულთაგანიც კი გამოტყდნენ შემდეგში, რომ მათ წმინდანი დაწვეს. ხალხს არა ჯეროდა ჟანას სიკვდილი და ხმა დადიოდა, რომ ალიდან თეთრი ტრედი ამოფრინდა. ჟანას სიკვდილით დასჯამ ვერ შევარყია ხალხის პატივისცემა და შემდეგში მთელი განსამართლება უკანონო იცნეს და საფრანგეთის მეფის ბძანებით განაჩენი საჯაროთ დახიეს. მთელ ამ ეპიზოდში, გარდა ფაქტიური, ისტორიული ინტერესისა, მეტათ საყურადღებოა, არა ჩვეულებრივი მხარე ჟან დარკის მოვლინებისა. უბრალო გაუნათლებელი გლეხის ქალი, რომელსაც სხვა ძალა არა გააჩნია, გარდა საკუთარი რწმენისა, რომ იგი ღვთის ნებას ასრულებს, მონაწილეობას იღებს ისეთს საქმეში, რომელიც მისთვის სრულიათ მიუწდამელია. რამდე-

ნი დაბრკოლება დახვდა ჟანას ვიღრე მიადწევდა თავის სურვილს, ვიღრე აასრულებდა იმ საოცარ მისიას, რომელიც სხვას ყველას მხოლოდ უაზრო ოცნებათ ეჩვენებოდა. უბრალო ქალი იმდენ ძლიერებას პაულობს თვის სუსტ არსებაში, რომ ვრევა ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იღებს მონაწილეობას ომში, აპარცხებს მტერს, გვირგვინს ადგამს კანონიერ მეფეს და შემდეგ კვდება იმავე წრფელი რწმენით, რა რწმენასაც გულში მთელი სიცოცხლე ატარებდა, რომ იგი იყო ღვთისაგან გამოვზაფნილი, რომ მას ესაუბრებოდნენ რაღაც საიდუმლო ხმები.

ზოგიერთი მკვლევარნი, (მაგ. ირელანდი), რომელნიც პსიხიატრის თვლით იკვლევენ ჟანას ისტორიას და მის კერძო პიროვნებას, იმ აზრს ადგინან, რომ იგი არ იყო ნორმალური პსიხიური ორგანიზაციის ქალი. ჟანას ჩვენებები, ხმები, რომელიც მას ესმოდა, მისი რწმენა, რომ იგი ღვთისაგან არის მოწოდებული, ყოველივე ამის ანალიზი გვიმტკიცებს, რომ ჟანა სულიერათ არ იყო საღი. პსიხიატრიული ანალიზი ჟანას ჩვენებებისა იმ დასკვნაზე გვაყენებს, რომ იგი ავთიმოფი იყო სმენის და ხედვის ჰალიუცინაციით. ჰალიუცინაცია პსიხიატრიაში საკმაოდ ცნობილი და გამორკვეული ავთიმოფობაა. ეს ავთიმოფობა იმაში მდგომარეობს, რომ ნერვის სისტემის მოშლის მიზეზით, ავთიმოფი ხშირათ ტყუილ შთაბეჭდილებას მიიღებს ხოლმე ნამდვილის მაგიერ და ამიტომ მისი წარმოდგენა საგანზე ანუ მოვლენაზე ჭეშმარიტი არ არის. მაგ., ადამიანი ხედავს რაიმე ფიგურას, ან ესმის ხმა, რომელიც ნამდვილათ არ არსებობს, ან ესმის სრულიათ სხვა ხმაურობა და მას კი ადამიანის ჰგონია. ჟან დარკს ხმები უმეტეს ნაწილათ ზარის რეკის დროს ესმოდა. მის წარმოდგენაში ზარის წყარა-წყური სიტყვებათ იქცეოდნენ და ამ სიტყვებიდან მას გამოჰყავდა მთელი აზრი თავის მოწოდებაზე. გარდა ამისა მოჩვენებები ისეთ ასაკში ემართებოდა ჟან დარკს, როდესაც საზოგადოთ ქალი-შვილის ორგანიზმი ფიზიოლოგიური მიზეზების გამო აგზნებულია და შთაბეჭდილებას ადვილათ ითვისებს.

ამ გვარი პსიხო-პათოლოგიური მოვლენისთვის, როგორც არის ჰალიუცინაცია უსათუთ საჭიროა ნიადაგი. ჰალიუცინაციები უმეტეს ნაწილათ ემართება იმ პირს, რომელიც შეპყრობილია რაიმე ძლიერი სურვილით, როდესაც მისი აზრი, მისი მთელი ყურადღება შეჩერებულია ერთათ ერთ წერტილზე. რასაკვირველია, თუ ამ პირის პსიხიური ორგანიზაცია ხელს უწყობს ჰალიუცინაციის გამოწვევას, მაშინ მისი სურვილი, მისი ფიქრი რეალურ ფორმებს იღებენ მის წარმოდგენაში და ავთიმოფუს ესმის ის,

ან ხედავს მას, რასაც რაიმე კავშირი აქვს მისი გატაცების საგანთან. არის იმისთანა მაგალითები, რომ ცალმხრივ ყურადღების კონცენტრაციას გამოუწვევია ნამდვილი ფიზიოლოგიური ცვლილებანი. ერთი სექტის მიმდევრები ისეთი ძალით, ისეთი გატაცებით ფიქრობდნენ იესო ქრისტეს წვალეზაზე, რომ ამ ესქტაზის მდგომარეობაში მათ თურმე სხეულის ის ადგილები, სადაც ქრისტეს ლურსმები ჰქონდა, დაუწითლდებოდათ ხოლმე. არის ბევრი სხვა მაგალითი ზემოთ მოყვანილი აზრის დასამტყიცებლათ, რომ ცალმხრივი გატაცება, ძლიერი სურვილი ჰბადავს არა თუ ჰალიუცინაციებს, არამედ იწვევს ნამდვილ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს.

რაც შეეხება ჟანას ჩვენებებს, თუ ამ საზოგადო შეხედულებით ეიხნმდგვანელებთ, ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმობთ იმ მკვლევართ, რომელნიც ამ გვარივე მიზეზებით ხსნიან მათ.

ჩვენ ვიცით, რა საშინლათ იყო შეწუხებული მთელი ხალხი, რა გატაცებით და თავგანწირულებით სურდა ჟანას თავისი სამშობლოს განთავისუფლება, მისი დახსნა; ვიცით აგრეთვე, რომ იმ დროს, როდესაც ჟანა გამოჩნდა, ხალხში გავრცელებული იყო წინასწარმეტყველება, რომ დამარების ახლო-მანლო აღვლებიდან გამოჩნდებდა ქალწული, რომელიც იხსნის საფრანგეთსაო. ეს რწმენა მოდებული იყო მთელ ხალხში და ყველა ელოდა საკვირველ ქალს, რომელიც უნდა მხსნელათ მოვილინებოდა ხალხს. ეს ხმა, რასაკვირველია, ჟანასაც ესმოდა და მოქმედებდა მასზე. ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ჟანა, რომელიც ხედავდა ზოგიერთ საერთო ნიშნებს ორ წინასწარმეტყველებასა და თვისი საკუთარი ცხოვრების შორის, სრულიად დარწმუნდა, რომ ის ქალი რგი უნდა ყოფილიყო. ამ წინასწარმეტყველებას ამგვარი შედეგი ჰქონდა: ერთი მხრივ, ჟანას არწმუნებდა, რომ იგი იყო ღვთისაგან რჩეული, მეორე მხრივ, აძლიერებდა მის გავლენას ხალხზე. თვით ხალხი იმ გვარ გზაზე იდგა, რომ ადვილათ შეეძლო ერწმუნა ჟანას დანიშნულება და მან მართლა იწმა იგი. ჟანას გავლენის ნიადაგი უკვე მომზადებული ჰქონდა ხალხში და ამისათვის გასაკვირი არ არის, რომ მან მართლა იქონია ეს გავლენა. მსოფლიო ისტორიაში არის სხვა მაგალითებიც, რომ ხალხზე გავლენა ჰქონათ ისეთ პირებს, რომელთა პსიხიური სიმრთელე ყოფილა საეჭვო. მაგრამ ამასთანავე შემჩნეულია, რომ ამ პირებს მხოლოდ მაშინ ჰქონათ რაიმე გავლენა, როცა მათი საკუთარი შეცდომა და გატაცება ეთანხმებოდნენ ხალხის გატაცებას და შეცდომას. სწორეთ ასეთს მაგალითს ვხედავთ ჟან დარკის ისტორიაშიაც. <sup>4)</sup>

\*) ეს არის ახლას ტელეგრაფამ გაუცნობა, რომ რეიმსში ჟან დარკისთვის აუცილთ ძეგლი. საფრანგეთის პრეზიდენტი ფორტი განგუბ წავიდა პარიჟიდან ამ სასალხო დღესასწაულზე დასასწრებათ.

ივანე კოტორაშვილის ამბავი

(კარახელის ხანობები).

(დასასრული \*)

VII.



ვლამ უჩივლა მეფესთან:  
 „მეფევე, დამიგდე ყურიო,  
 ივანე, შენი საქები,  
 მამშვეს, არ მაქვს პურიო.  
 ტანთ არა მაცვია და ფეხთა,  
 ამან მომიკლა გულიო,  
 განა ეს სამართალიო,  
 რასა სწერს თქვენი რჯულიო?  
 შენცა გმსახურობს, სოფელსაც,  
 მე დამწვარ დადაგულიო  
 ეზივარ შინ მშიერ მწყურვალი  
 მთელ კვირაობით, თვეობით.  
 მიშველე რამე, ხელმწიფევე,  
 აგრემც იხარებ ძეობით.  
 რათ მინდა შეილის სახელი  
 თუ აბა ეთლებე — ეხრებისა:  
 დედასა შიმშილითა ჰკლავს  
 მტერს კი თამამთ ებრძვისა.  
 უბრძანე, შენ დაარცხინე,  
 უღროთ ნუ ჰკლავს დედასა,  
 თორემ საძრახათ გახდება,  
 არაეინ ეტყევის ქებასა.  
 ვარ ერთი ტიელ-ოხერი  
 მაგ ერთის შეილის ამარა,  
 ეგეც არ მიგდებს მოხუცს ყურს,  
 ხომ სული ამომეპარა.“  
 განა ისე რამ უჭირდა,  
 მაგრამ ფლიდობდა ბებერი,  
 შეილის შინ ყოფნა უნდოდა,  
 არ გავლალა მას მტერი,  
 ივანე არვის მოეკლა,  
 არვის მოეჭრა მარჯვენა,  
 ამიტომ ასე ბეჩავათ  
 თავი ერეკლეს აჩვენა.  
 დიდათ დაფიქრდა ერეკლე  
 ივანეს დედის მოთქმითა  
 და საქმის გარემოებაც  
 მალე შაიტყო მოწმითა.  
 ბებერს კი უთხრა: დედილო,  
 რა სასჯელს უწერ შეილსაო?  
 თუნდ თვალეზს დაეთხრი, თუნდ ეროსაც  
 აღარ შევარჩენ კბილსაო,

რალა შენ აგრე გეპყრობა,  
 და დღეს გიმწარებს ტკბილსაო?!  
 — არა, მე მოგეყდე და შეილს კი  
 ვერ ენახე თვალეზ დათხრილსა,  
 ის კი მინდოდა, რომ ტანზე  
 არ შევარჩენდი მახვილსა.  
 როცა იარაღს ჩამოპყრი  
 რიდათი ირბენს გარეთა.  
 მგონია ქალაქში არის,  
 გთხოვე ახლავ დაიბარეთა.  
 მეფეც დათანხმდა და ბებერს  
 მყის გაუჩინა ულუფა.  
 თანაც აჩუქა ფულითა  
 საესე მოზდილი ყულუფა.  
 „წადიო“ მეფემ უბძანა:  
 „ახლა ჩვენ ვიცით იმისა,  
 ჩვენ აუასრულეზებ შენს თხოვნას  
 როს ჟამი მოვა დილისა.  
 და მართლაც მეფემ დილითა  
 მოაყვინა ივანე;  
 მეფე გამწურალი დაუხვდა  
 წინანდლებერ აღარ მღიმარე.  
 „ბიჭო, შენ, კოტორაშვილო,  
 დაუწყეო მეფემ წყრომითა,  
 „დედა რომ გახდის თვის შეილსა  
 ვაებით, წვით და შრომითა;  
 განა იმითომ შეილმა კი  
 არ დაუფასოს ამავი?  
 ხელი არ აკლდეს და თვალის  
 ჰქონდეს სახნავი ალაგი,  
 დედას კი სიმშილით ჰკლავდეს,  
 ეს ცხადია, თუ არაკი?!  
 აქამდის მოწყალე გყავდი  
 და მაწყენინებ ახლა კი.  
 დღეს დედაშენი აქ იყო,  
 იბასრებოდა ცრემლითა  
 და მთხოვა იარაღები  
 შემოგხსნა ჩემის ხელითა,  
 რომ ეგებ ყური მიუგდო  
 და არ აწუხო ბებერი.  
 არა თხოულობს თავთუხსა,  
 არ აკლდეს პურათ მას ქერა! —  
 — როდის დავაკვლ, ბატონო,  
 განა ვგრეც ვარ ლატაკი?  
 პურიც შინა აქვს, წყალიცა,  
 საგებ-სახურათ ფარდაგი.  
 იმას სხვა დარდი აწუხებს,  
 მეც კი მაწუხებს ათასი.  
 განა ბალდი ვარ, კაცი ვარ,  
 თავი ჩაუღვია კალთაში.

შენც სამსახურსა თხოულობ,  
ქვეყანა უფროც მეტათა.  
ლეკებისათვის გამხდარან  
ჩვენები მოსახვეტათა.  
მაგრამ ჩემ ძმებსა ურჯულოას  
ვერ მიეცემ დასაკენეტათა.  
„სრულათ აჰყარეთ აბჯარი,  
დანაც თუ უძე ჯიბეში.  
მეც რომ სამსახურს მაყვედრებს,  
თითქოს მეტია ბიჭებში  
და ფენსა ჰყუდებს უბირი  
ერეკლეს დანაბიჯებში!“  
— „კოტორაშვილი აბჯართა  
სხვას კი მისცემდა არვისკო,  
შენ კი მეფე ხარ, ნება გაქვს,  
მოჭრაც უბრძანო თავისა,  
მზათა ვარ... მაინც სიკვდილზე  
ნაკლები აღარც ეს არი,  
სულ კი უბრალოთ დამადე,  
დღეს სამარცხენო ბეგარი.  
რატომ მალევე არ მოვეკედი,  
თავს არ დამეცა მედგარი...  
ერეკლე ცდიდა ივანეს,  
იმან ეს როდი შეიტყო,  
წავიდა უიარალო,  
პირზე ნალევი დაიყო.  
სწრაფათ გავარდა კარშია  
თავ-ბრუ ესნმის და რეტია,  
უიარალო ვაჟკაცი  
დიაცზე რით-ღა მეტია?  
სიმწარისაგან ივანეს  
თითები დაუკენეტია,  
მაგრამ საგმობლათ ხელოწიფე  
მაინც ვერ გაუმეტია.  
მირბის, არ იცის საითა,  
როგორც გიჟი და ცეტია.  
ერეკლემ კაცი აფრინა,  
აბჯრისთვის ინმობს შინაო:  
უნდა სხვა ხმალიც აჩუქოს,  
ის ხეარასნული რკინაო.  
მაგრამ ივანემ ბოკონზე,  
ტყის პირ პირ შეირბინაო.  
წავიდა, იალნის ძირზე,  
ტყე-ტყე მგელივით დიოდა,  
გაბენტრებული ჯავრისგან,  
წყლოული ჰკლავს, გული ტკიოდა.  
„რალა ექნა, რა მეშველებმა?“  
დადის, სულ ამას ჩიოდა  
და ბაღლისაგით ცრემლები  
თვალეებზე ჩამოდიოდა.


წამოწვა ერთი ხის ძირას,  
დაბლა იორი ზეიოდა,  
იმ დღეს სულ უნაწილოა,  
პურიც აღარა შიოდა...

## VIII

აგერა ხედავს პირ-და-პირ,  
სერ-სერ მოდიან ლეკები,  
ბელაღს მოსდევენ უკანა,  
როგორცა ძალსა ლეკვები.  
იმ სერსა იქით და აქეთ  
უდგია დიდი ბეკები.  
უცბათ ცამ ფერი იცევალა,  
დადგა ღრუბლები გორათა,  
აქოთდა, ასტყდა, აყვირდა  
წარღენსა ჰგანდა სწორათა.  
ისეთი დეღგმა მოვიდა,  
რომ დამსხვრია მთა-ბარი,  
ცა თუ ზღვით იქცა იტყოდო  
და დღეს გაეღო ზღვის კარი.  
მუშტის სწორს სეტყევას ისროდა,  
ხეებს ჰკაფავდა ტოტებსა,  
ცა მწყრალი ყინულისასა,  
მიწას ესროდა ზოდებსა.  
დასქდა ლვარები, აყეფდენ,  
მკაცრი ასტყნეს ყაყანი,  
მთელს სამყაროსა გლოვისა  
შავი ეხსურვის საბანი.  
სისხლით გაბასრულ ლემს ჰგან  
ხეგები ღვარით ნაბანი.  
იქ გაღმა, სერზე, ტყეშია,  
ჯერაც დგას ძველი საყდარი.  
ერთი კარი აქვს მარტოკა,  
სხვად შესავალი არ არი.  
ლეკებმა საყდარს მიმართეს,  
დგომა არ სწადით მინდვრათა,  
ლამე იქ უნდა ათიონ,  
ლეკებს ესა აქეთ ფიქრათა.  
კოტორაშვილს კი დარდი ჰკლავს,  
იგონებს თავის ფრანგულსა,  
და კბილის ღრქენით, მწყრომარე,  
ხწარეთ იმჯილავს თან გულსა.  
„არა უშავსო“, — წამოდგა,  
მოძებნა სიბი თხელია,  
იმით გამოკრა კომბალი,  
კარგა მოზდილი სქელია.  
და ამ ჯოხითა ორმოც ლეკს  
დღე დააყენა ცხელია.  
ბინდის დროს კარზე მიუხდა

და დაუყვარა მედგრათა:  
 „გამოდით, ვინ ხართ საყდარში  
 სულ გამოლაგლით გარეთა.  
 გეყოფათ ტუბილი ცხოვრება  
 ახლა დღე გაიმწარეთა!“  
 თავი გამოყო ჯერ ერთმა,  
 ივანეც არის მარჯვეთა.  
 უცხუნა თავში კომბალი  
 და დაწვინა მკედარია,  
 ასწვდა ხმალი და დადგა  
 სალის კლდის მინაგვარია.  
 რამდენმაც თავი გამოჰყო,  
 სუყველა ქვიშას გარია,  
 როგორც არწივმა წერონი,  
 მტერი ერთ-ერთში არია.  
 რამდენიც მოკლა, იმდენი  
 ლეში ჭალაში ჩარია.  
 ასეა, უიარალომ  
 იღბლათ ურჯულოთ დარია,  
 ასეა, ვისაც უფალიც  
 სწყალობს და მასთან არია.  
 ბევრი ვიუბენ და შენცა  
 აშავალითოთ გეძარია.  
 აჰყარა იარაღები,  
 იმ დლით კარგი დარია.  
 აჰკიდა ჯორას, დაბარგა,  
 წინ თვით გაუძღვა ხარია  
 და მეფის კარზე მივიდა,  
 დინჯათ ეზოში მდგარია.  
 იძახის: „მეფევე, აბჯარი  
 წაიღე, მოიხმარია,  
 მაინც ხომ გიჭირს, მიიღე,  
 მე ხომ არ შამიწყნარია.“  
 ღმერთმა აცხონოს ივანე,  
 ხომ აღარ არი, მკედარია.

გაჟა ფშაველა.



Edw. Humphries

The Towing Steamer  
Up the Docks.

ნ ა ვ თ - ს ა დ ე მ კ რ ი .

### ს ა ა რ ა კ ო ს ა რ კ ე

(ჩქსურბა ზღაპარი)

(თარგმანი)

**ს** ამზავი ზღაპარივით იწყება. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბატონი-შვილის ასული, რომელიც დანარჩენ საარაკო ქალი-შვილებსაგან მხოლოდ თავის მახინჯობით განირჩეოდა. თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, მკითხველო, სურათი ქალიშვილისა, რომელსაც ჰქონდა ქვალის ჯაგარა წვერი, საწიზღარი მეჭეჭები, ბუსეებ თვალები, აქლემივით თავი; ერთი სიტყვით, ქალიშვილი თავის განსაკუთრებული სიმახინჯით ამახინჯებდა საზოგადოთ ადამიანის სახეს. რასაკვირველია, შე-

წუხებული გვირგვინოსანნი მშობელნი ამ გარემოებას აბრალებდნენ ჯადოს, რომელმაც შურის საგებლათ ასე გააუბედურა მათი ერთათ-ერთი ასული. ამ მწუხარებას ბოლო არ ჰქონდა, თანდათან უფრო მატულობდა, რადგან მათ ძვირფასს თვალისჩინს სახე ერთი-ორათ უსახიროდებოდა. დღე და დღე მშობლები სულ იმ ფიქრში იყვნენ, როგორ აეცილებინათ თვისი დიდებულების შეურაცხყოფა, რომლითაც ბუნება შეეხო სამეფო შთამომავლობას, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოთ ჩაუარათ. პირის ფარეზობაში დახელოვნებულ ოსტატებს სულ ამოთ რჩებოდათ თავიანთი მეცადინეობა, რომ ტახტის მემკვიდრის საოცარი სიმახინჯე ცოტათი მაინც შეესწორებიათ. და ვინც კი გაბედვდა წასასმელ და დასაშვლ წამლების, ან აბების გაზეთში გამოცხადებას, ვითომც მისი საშუალებით შეიძლება კანის

დარბილება, დამუწუტებულ სახის მორჩენა, ფერზე მოყვანა, და სხვა ამგვარი, იმას ლუკმა-ლუკმათ კუ-  
ჭადენ, რადგანაც ყოველივე ეს საშუალება გულ-  
უბრყვილო ადამიანებისთვის მხოლოდ მახეში გაბმა  
იყო. ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ საწყა-  
ლი, ნორჩი ქალიშვილისთვის არ შეემჩნევიდნენ მისი  
განსაკუთრებული მახინჯობა: ოთახებიდან გაძე-  
ვეს სარკეები და საზოგადოთ ყველაფერი, რაშიაც  
კი შეეძლო ქალიშვილს თავისი სახე დაენახა. თა-  
ვიანთ მიზნის მისახვევით, სარკეები საქვეყნოთ აღ-  
კრძალეს სახმარებლათ სხვა და-სხვა ადგილებში კო-  
მისიები დააარსეს და დანიშნულ დროზე მათთვის  
ყველა სარკეები უნდა ჩაებარებიათ; ვინც კი წინა-  
აღმდეგობას გაუწევდა, სასტიკ სასჯელს მიიღებდა.  
მსაჯულნი სახლს მოულოდნელათ დაეცემოდენ და,  
რომ სახლის პატრონები ღრმა ძილშიაც ყოფილ-  
იყვენ, არე-დარეედენ და წაიღებდენ ყველაფერს,  
რასაც კი სარკის მზგავს ნახავდენ; მერე ყველა წართ-  
მეულ და ნებით მოცემულ სარკეებს დაუზოგავათ  
ნაკუწ-ნაკუწათ ამხებრედენ. სარკეების მოტანა სხვა  
ქვეყნიდან სასტიკათ აკრძალული იყო და საბაჟოს  
მოხელენი ამ ეპქრობას მკაცრათ თვალ-ყურს ადევ-  
ნებდენ. თითონ სიტყვა „სარკე“ დაწყველილი იყო.  
სიტყვა „სარკე“-ს ყველა წიგნებში, სადაც კი მას  
ნახავდენ, მსწრაფლ წაშლიდენ; ამ მიზნით დაარსე-  
ბული და საგანგებო ცენზურა, დაუზოგავათ ეპქრო-  
ბოდა ამ სიტყვას. ერთ პოეტს, სამსჯავრო კომისიამ  
დახურულ სხდომაზე გადუწყვიტა ერთი წლით სატუ-  
სალოში დამწყვედვა, შეგორკილება და მონაწიება,  
რადგანაც მას სხვათა შორის თავის თხზულებაში მო-  
ხსენებული ჰქონდა: „მოკრიალებული სარკე ლაქ-  
ვარდ ტბისა“. საქმე იქამდე მივიდა, რომ ძრიელ  
მოწადინებულმა მთავრობამ აკრძალა სახმარებლათ  
მთელ სამეფოში სიტყვები: „სიტყვის სარკე“. თუმ-  
ცა დიდებული ოჯახი მიზნის მიხვევას ასე ცდილობ-  
და, თუმც დაწყველილ სიტყვის ხმარებისას ნებას  
სრულით არ აძლევდა, მაინც მომავალზე ნაღვლობ-  
დენ. მათ ეშინოდათ ეს სიტყვა ქალიშვილს არ გა-  
ეგო, ანუ თავის თავათ არ მოეწადინა საკუთარი სა-  
ხის დანახვა; რადგანაც კარის დიდებულნი მის წინა-  
შე ნამეტანი აღტაცებით ლაპარაკობდენ, იმის  
შეუდარებელ სილამაზეზე. ერთხელ მეფის ნახ-  
ვა მოინდომა ერთმა უცნობმა, რომელსაც ხელში  
ეჭირა რალაც მაგრათ შეხვეული ნივთი; ამ გრძელ  
წვერიან და დიდ-სათვალეზიან კაცს მკითხავს მი-  
ამგზავსებით. ეს უცნობი მეფის წინაშე წარდგა  
თუ არა თავის თავი ოსტატათ გააცნო და მოახსენ-  
ა მეფეს: ბევრი ვიძუშავე, ბევრს ვეცადე და  
გაფაკეთე იმისთანა სარკე, რომელშიაც ვინც ჩიხე-

დაც ნახავს საუცხოვო ლამაზ სახეს. ეს სარკე,  
ამბობდა ოსტატი, აქრობს ყოველ მეჭეტს, დაღრ-  
ჯილობას, ყოველ სახის უშნო ნაკეთს ლამაზათ გა-  
მოხატავს, სახეს უფრო გააფერ-ხორცებს, მიმქრალ  
თვალეზს გააცოხლებს და ქერა თმას შეენიერ ვიშ-  
რის ფრათ აქცევს. ბოლოს ოსტატმა დაუმატა: სარ-  
კე მხოლოდ მას გამოადგება, ვისთვისაც მომზადდა,  
რადგანაც სხვა ამ სარკეში მხოლოდ თავის ნამდ-  
ვილ სახეს ნახავს. ამ ამბავმა, რასაკვირველია, მეფე  
ძალიან გაახარა, მეტადრე როდესაც ოსტატის სიმართ-  
ლეში დარწმუნდა. მეფემ ეს სარკე თავის ხელით წაი-  
ღო ქალიშვილთან, რომელიც თან და თან უმანკო კო-  
კორისაგან შეენიერ ვარდათ უნდა გადაშლილიყო.  
მეფე განუსაზღვრელ სიამოვნებას გრძობდა, როდეს-  
აც სარკეში ფრთხილათ იყურებოდა და თავის ქალს  
დაუნახა დაბალი მაიმუნის შუბლის მაგიერათ, ხეუტუქა  
თმის ქვეშ თეთრი და შეენიერათ მოყვანილი შუბლი,  
ორი დიდი შავი და ოცნებით გატაცებული თვა-  
ლები, შეენიერათ გადაქიპული წარბები. ერთი სიტყ-  
ვით, ამ სარკეში იმისთანა ლამაზი და საოცარი სუ-  
რათი გამოიხატებოდა, რომ ხელმწიფის ქალმა, აღ-  
ტაცებით ტაში დაჰკრა და თავისი სქელი ტუჩებით  
სიხარულით სარკის ცივ მინას მიეყრდნო. ამ გარე-  
მოებამ მეფე ისე გაახარა, რომ აღარ იცოდა, როგორ  
დაეჯილდოებია თავისი გამაბეზინებელი; ბევრი  
საჩუქრები მისცა, თავის ნახევარ სამეფოს აძლევდა,  
შესართავათ არ დაუჭერდა ქალიშვილსაც, მაგრამ  
ოსტატმა ამ ჯილდოებზე უარი გამოაცხადა. შემდეგ  
სასახლეში ბედნიერება დამკვიდრდა. ქალიშვილს სა-  
ათობით ეჭირა საარაკო სარკე, რომლის ჩარჩო აღ-  
მასებით, სხვა-და სხვა ძვირფას ქვებით მოქველილი  
იყო, და მუდამ ტუბებოდა თავის არა ნამდვილ სილა-  
მაზით; მშობლებსაც ამასთან ერთათ უხაროდათ. კა-  
რის დიდებულნი, რომელნიც თვალს არიდებდენ მის  
სიმახინჯეს, ახლა სარკის საშუალებით აღტაცებაში  
მოდიოდენ. კარის მხატვარმა ქალიშვილის სახე სარ-  
კეში ოსტატურათ გადაიღო და ბევრი ცალი ამ სუ-  
რათისა ხალხში გაავრცელა, როგორც სამეფო ქალი-  
შვილის ნამდვილი და უტყუარი სურათი. პოეტები  
სურათს აღტაცებით მიეგებენ და მათ ყოველ ნაკეთს  
სახისას ბევრი გრძობით აღსავსე სონეტები უძლე-  
ნეს. ამ საერთო სიხარულს მხოლოდ ერთი გარე-  
მოება აბრკოლებდა. ქალიშვილი დღე და ღამ კარ-  
ჩაკეტილ და ფარდა ჩამოფარებულ ოთახში იჯდა  
და კარის დიდებულთ გარდა, ვერავინ ტუბებოდა  
მისი შეენიერების ხილვით. ზღაპარს ნუ მაწყვეტი-  
ნებ, ჩემო მკითხველო! მოთმინებას ნუ ჰკარგავ!  
ბავშვები ხომ არა ვართ, რომ ზღაპარს მოგვითხრო-  
ბო? ენაობ, მართალია საბავშვო ზღაპარს მოგიყევით,



მაგრამ არ გეგონათ, რომ ეს აშავი დიდებისთვისაც არ გამოადგეს, თუ კი შეეცვლით, მეუღის ასულის მაგივრათ იგულისხმეთ ზოგიერთი მწერლობა, რომლის წარმომადგენელი ახლაც ამისათვის გამკაცბენენ. ისინი ყოველ ქვეშაობი სიტყვას, სინამდვილის გამოსაქვეყნებლათ წარმოთქმულს, ჭკუის უფარვისობათ და საზიზღარ შურთანობის შედეგათ ჩათვლიან, რადგან განუსაზღვრელ და გრძნობით სახე ქებას მიჩეულებან. ესენი თავის მოწინააღმდეგეებს ჩააჩემებენ და ყოველი მათგანი თამბაქოს წვეთით კეთილსუნთლოვან გუნდრუქს უქმევენ მოძმეს, რადგანაც იმისაგან ამასვე მოელაძებან. მწერლობისთვისაც საარაკო სარკეს აჩენდენ და ჩანდებისათავე აღიარებდენ თავის მწერლობას ყველაზე შევნიერათ და უნაკლებლოთ. ავიღოთ სხვა მაგალითი — თანამედროვე საზოგადოების; განა მასში დამკვნარს ცოტას ნახეთ, განა არ ესაჭიროება მას გამოუხზულება ეროვნულ საქმეში, ვინც კი დიშსახურა, განა იგი ღირსი არ არი, რომ განადგენოს, დიჩაგრას? სამწუხაროთ აღმინაები ზედ-მიწვევით ცდილობენ, რომ საზოგადოებამ თავისი დაუძლურება და უბედურების მომასწავებელი სახე არ შეიმჩნიოს. ასე რომ საერთოთ ებრძვიან და ყოველ გაკრიათ ნათქვამ უსიამოვნო სიტყვას უარ-ჰყაუენ; ხალხს წინაშე სარკის საშუალებით გამოკონილ საცრუეს გამოჰყენენ, ზედ კიდევ სატყუებს დაუმატებენ: „სუყველაფერა ისე კარგათა, რომ უკეთესა შეუქლებელიც არასა“. ვინც კი გაბედავს ამაში ეჭვს შემოტანას, მასში დებრძავებულ პესნიმისტს, საშიშ ბოროტ-მოქმედს ანუ მოწინააღმდეგეს ზედავენ, ბევრ მაგალითებს მოვიყვანდი, რომ არ მომკონებოდა ჩემი დაუთავებელი ზღაპარი. ნუ შეშინდებით — მალე დასასრული.

ქალიშვილმა, რომელიც სარკეში შევნიერებას წარმოადგენდა და სინამდვილეში — სიმანჯეს, ერთხელ თავის ოთახში სარკმლის ფარდა გასწია და სახლის ახლო მოციმციმე ტბის სიერცემ მისი თვალი მიიპყრო. მან ტბაში მკაფიოთ დაინახა, თუშცა თავდაღმა, ნაპირებზე დარგული შევნიერი ბზის ხეები. თავის მოსამსახურეს დაუძახა და ჰკითხა: შეხედე, ნუ თუ იმ წყლის სიღრმეში სხვა პატარა ტყეა გაშენებული?

— არა, თქვენო დიდებულებავ, — უბასუხა მოსამსახურემ, ეს მარტო ნაპირის ხეები წყალში გამოინახებია.

ამ უბრალო მოვლენამ ქალიშვილი ძალიან გააკვირვა, რადგანაც დაკეტილ ოთახში ცხოვრებას მიჩვეული, ბუნებას ნაკლებათ იცნობდა.

— ნაპირის ხეები წყალში გამოინახებან?! გამიე-

ორა ქალიშვილმა. მე ვარჩევ ყოველ ფურცელს და ნაყოფს, რა მკაფიოთ ინახება და ნამდვილათ არის! — ეს ხო საუკეთესო სარკეა.

— დიახ, დიახ! — წამოიძახა ჭკუა-მჩატე მოსამსახურემ, — სინამდვილის გამოსაქვეყნათ ბუნებას ვერაფერი აჯობებს.

ქალიშვილმა უბასუხოთ დატოვა მოსამსახურე, მაგრამ გულში კი დარდი ჩაიყოლია. მან მოისურვა ერთხელ მაინც თავისი მკაფიო და ნამდვილი სურათი ბუნებას სარკეში ენახა, რადგანაც საარაკო სარკის სისრულეს ეკვით უყურებდა.

ქალიშვილს არაფერი არ შეაკავეს, ოღონდ კი მან თავისი ცნობის-მოყვარება დააკაყოვალა. გატაცებულმა ქალიშვილმა მარჯვე დრო მოიპოვა და შურდულივით წყლისაკენ გაქანა. მოუთმენლათ წყალში ჩიხედა და საზარელი შიშის ხმა მოისმა, დანახა თუ არა ბუნების სარკეში თავისი ნამდვილი მახინჯი სურათი, მაშინვე უბედურმა ტბას სიღრმეს მისცა თავი. ასე მოელო ბოლო თავზარდაცემ სინამდვილას შეგნებისათავე საბრალს, რომელიც ცრუ თვალთ-მაქცობათ ცხავრებდა.

ს. ბრეჯლი,



ჩ ა ლ დ ი რ ი

თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით.

**ბ**ალღირი შეადგენს ჯავახეთის ნაწილს. სამხედრო მთავრობისაგან მე ვიყავი დანიშნული ჩალღირში, დროებით „სამხედრო უფროსათ“, სახელდობ სოფ. ზურზუნაში, სადაც უნდა გამეტარებია ჩვეულებრივი ცივი დიდი ზამთარი. ჩემი დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთიდან მომავალი „ნოვობრანეები“ (ახლათ გამოყვანილი ჯარისკაცი) მიმელო და მეორე დღესვე დიდი სიფრთხილით უნდა გამესტუმრებია არდავანში. სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ხუთმა გუნდმა ჩამოიარა და ამის გამო უსაქმურობამ ძრიელ შემაწუხა. მისვლისათავე მე და ჩემი მხლებელი დავინადრით სატუსალო კაზარმაში, სადაც ერთ ოთახში ჯარისკაცებთან გავატარე რამდენიმე დღე. ცოტა ხანს შემდეგ ადგილობრივმა განყოფილების უფროსმა პონაფიდინმა მიმიწვია თავის ბინაზე, სადაც დაეგრი წამოსვლამდე. აქ ხშირათ მაგონდებოდა ხოლმე ძველებური ანდაზა, რომელიც ითქმის ჯავახეთზე: „მე ჯავახეთს რა მიშედა, მთვარე იყო მზესავითა, კალმახი

და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა“, სწორეთ რომ ბზესავებრ უხვით გექონდა ხოლმე შევნიერი ჩაღლირის ტბის კალმახი, რადგანაც ზემოხსენებული ტბა ახლოს არის ზურზუნადან. არა მაკლდა რა, მაგრამ მოწყენილი მაინც ვიყავი, რადგანაც ვისმე რომ დაე-ლაპარაკებოდი და ხმა გამეცა, იმისთანა არაეინ იყო. კიდევ ჩემი ბედი, რომ როცა მივიღოდი ჩაღლირში ქუთაისიდან, თან წაიღე ორი ქართული წიგნი: „ქართლის ცხოვრება“ და „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი“ ბატონიშვილი ვახუშტისა, ეს წიგნები მართოდენ მე აქ. ჩაღლირში ბევრია იმისთანა შესანიშნავი ადგილები, რომელნიც მოხ ენებულა ზემო დასახლებულ წიგნებში. ამ გარემოებამ დამაყენა იმ აზრზე, რომ მენახა და ამეწერა ის ძველი საქართველოს ძლიერების ნაშთი, რომლებიც ყუ-რადლების ღირსია.

ჩაღლირში ორმოც-და-ორი სოფელია და თითქმის ყველას ქართული სახელები ჰქვია. მაგალ., წყაროს-თავი, ურთა (ორითა), საბადური, ქალა და სხ. აგრეთვე ადგილებს, მთებსა და მდინარეებს ჰქვია ქართული სახელები. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია ჩაღლირის-ტბა (პალიაკაიო). ამ ტბას ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს თავის გეოგრაფიაში კოლის-ტბას, და აი ამ ტბაზე მოგვიყვებით ამბებს რაც აქ გამიგონია და ან მინახავს. ჩაღლირის ტბა გარშემო სივრცით იქნება 70 ვერსზე მეტი, ძრიელ ღრმა; იმისი წყალი ისეთი სუფთაა რომ კიდევაც სვამენ ხოლმე. შიგ არის მრავალ-გვარი თევზი: კალმახი, კობრი და სხე. ამ ტბას გარშემო არტყია მთები: აღმოსავლეთით — ალაბაზის, სამხრეთით — კოლისა, დასავლეთით და ჩრდილოეთით თვით ჩაღლირის მთები. ტბის მახლობლათ არის რამდენიმე სოფელი, სახელობ: ურთა, მერედისი, ქალა, აღჯა-ყალა და ფურუთი. ზურზუნა, სადაც უბნის სასამართლოა, იმყოფება 6 ვერსის მანძილზე ტბიდან. აი, სწორეთ ამ სოფლიდან წავედი ჩაღლირის სანახავათ დეკემბრის დამდევს 1891 წ., მივედი ს. ქალას, სადაც ღამე გავათიე და მერე დღეს წავედი აღჯა-ყალას, რომელიც იმყოფება შვიდ ვერსზე ქალიდან. ახლანდელი აღჯა-ყალა შეადგენს ნახევარ კუნძულს, რომელზედაც ძველებური ქეთიკირის შენობების ნანგრევებია ე. ი. ეკლესია, კოშკები და სხ. ზოგიერთი შენობა ისეა, რომ კაცი იტყვის სწორეთ წყლიდან არის ამოშენებულია, ზოგი კი ესე ჩანგრეულია წყალში, რომ ძალა-უნებურათ უნდა დაიჯერო ის ზღაპრული გადმოცემა, რომელსაც ამბობენ ამ ტბაზე აქაურები. ამ კუნძულზე არის რამდენიმე ორმო, სადაც კაცი ვერ ჩავა რადგანაც უცნაური სუნის დვას. როდესაც ჩაღლირი აღელდება, წყალი ისე

მიატყდება აღჯა-ყალის ნა'ვეარ-კუნძულს, რომ ნახევარი კუნძულის უღელი სრულიათ იცვება წყლით, ასე რომ აღჯა-ყალა, ტბის ღელის დროს კუნძულათ კეთდება. ბევრი ევძიე წარწერები ხსენებულ ნანგრევებზე, მაგრამ ვერ ენახე, იქაურობა მაშინ თოვლით იყო დაფარული. დათვარიადებას შემდეგ დაებრუნდი ზურზუნას. მე მსურდა ვინმე იმისთანა მენახა, ვისაც ტბაში ჩანგრეული შენობების ამბავი ცოდნოდა. ამისათვის გავემგზავრე სოფ. რაბათში, რომელიც რამდენსამე ვერსზეა ზურზუნიდან. როცა ამ სოფელში შევედი, გამოკტრიალდენ ბავშვები, თამამთ გარს შემოგვერტყენ და დაიწყეს თათრულ ენაზე ტიტინი. კაცის თვალი ვერას ნახავდა მათზე უკეთეს; ყმაწვილები ერთი მეორეს ვობდა, ლოყები ბროწეულივით წითლები ჰქონდათ, შავი თვალწარბი, შევნიერი შეწყობილი სახე და მასთან ტანადობა მათი სწორეთ გააკვირვებდა კაცს. ჩაღლირში უმეტესათ თარაქამები არიან, თუმცა ახოვანი, მაგრამ სახით კი უმსავესნი და ამიტომაც გამაკვირა რაბათის ბავშვების სიშენიერემ, რის მიზეზსაც შემდეგ გავაგებინებთ. ყმაწვილების ყურებას რომ მოეჩით, მახდი-ჩაფარი (ასე ერქვა ჩემ მხლებელს) გამიძღვა წინ და მიმიყენა თავის ნათესავთან; მისეღისთანავე სახლის პატარნმა შეგვიყენა ბნელ, მაგრამ ძრიელ თბილ გომურში, ჩექმები დაკვხადა და ყავა საჩქაროთ მოგვართვა; სანამ ყავას შევექცეოდით სადილიც მოემზადებიათ, მასპინძელი დიდი თხოვნით მოვისვი გვერდით. საქმელი ყველაფერი ერთათ მოგვიტანეს: ყველი, მაწონი, ყაურმა, ერბო-კვერცხი, ფლაფი და შარბათიც მოაყოლეს. შემდეგ წავედი იმ კაცთან, ვინც ნანგრევების ამბავი იცოდა. იმის სახლს შევატყე, რომ იქ უნდა მდგარიყო მდიდარი კაცი; წინ მომეგება ერთი დარბაისელი მოხუცი, რომელმაც ჯერ სალამი მომცა ქართულ ენაზე და მერე მომიკიდა ხელი მარცხენა მკლავში და შემიყენა სრულიათ ბნელ სახლში, გამატარა რამდენიმე ბნელი ოთახები და ბოლოს შემიყენა ნათელ მისაღებ-ოთახში, რომელსაც ეძახიან აქაურნი „საყოანლოს“ ე. ი. სასტუმროს. სანამ მივიხედ-მოვიხედავდი, მეცნე ბიჭები ფეხებში და ჩექმები გამაძვრეს; ამას შემდეგ წინდების ამარა შევედექი მოფენილ ხალხებზე. შევედი თუ არა, წინ მომეგება ძრიელ მაღალი, თეთრ წვერა, ღრმა მოხუცებული ბერი-კაცი, რომელიც დარბაისლათ მომესალმა ნამდელი ქართული ენით და მითხრა: „მშვიდობა თქვენი აქ მობრძანებია“, ასე რომ გავოცდი. მე როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩაღლირში ქართულ ენას გავიგონებდი. მივედი მოხუცთან, ხელი ჩამოვართვი; მან მიმიყენა გაჩაღებულ ბუხართან და რბილ ბალიშზე დამსვა. შემდეგ დაი-

ძანა ქართულათ: აბა ბაქებო! ბატონ-სტუმარს ყავა და სადილი მოართვით. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ იქვე მეზობლათ ვისადილე, ძრიელ ეწყინა და მახლის სამდურავი უთხრა.—ჩვენ სოფელში კაცი მოვიდეს და ჩემს ოჯახში პური არ ჭამოს? ეს არ შეიძლება. როგორც ტახტები ისე იატაკი მოფენილი იყო ძვირფასი ხალხებით, ქქიზბოთა და ფარდავებით. გარშემო ეწყო ჯეჯიმის ღორები და მუთაქები, კედლებზე ეკიდა: თოფები, ღამბაჩები, ხმლები, ხანჯლები და ერთი გარეული თხის ტყაივი; ლოცვის დროს მამადიანები ამ ტყაზე შედგებიან ხოლმე და ისე ლოცულობენ, ამას ნამაზლის ეძახიან. ბუხრის თავზე რამდენიმე სიტყვა იყო წარწერილი ყოჩანიდან. ბუხრის გვერდზე თახჩებში ჩაის იარალი იყო და აგრეთვე ყავადანიც იდგა. მოხუცებულმა გაათავა თუ არა თვისი ბრძანება, მაშინვე მომიბრუნდა ისევ და დამიწყო მუსაიფი. ჯერ გამოემკითხა ჩემი ვინაობა, ან საიდან ვარ, ან რისთვის მოვსულვარ მათ ქვეყანაში, და როდესაც პასუხი მიიღო, მაშინ კი მოჰყვა თავის ამბავს: „ჩვენ ძველათვე ქართველები განლაგართ, ჩემ ძველს სისხლი მართებია გორში და ამის გამო მიუტოვებია თავისი სამშობლო და გადასახლებულა ჯავახეთის ახალქალაქში, რომლის ერთ უბანში სახელდობ რაბათში დაბინავებულა. რადგანაც თათრობამ მამაჩემს ძალა დაატანა, ამისათვის იძულებული იყო მამადიანობა მიეღო და კიდევაც გათათრდა ახალქალაქში. გვარი კი შეგვრჩა მხოლოდ ქართული და სახელები ყველას თათრული გვაქვს. ჩვენი გვარი სასადაშვილი ვახლავს, და ჩემი სახელი კი დადა არის, ჩემს გარდა მამა ჩემს დარჩენ შეილები: სულია, ემინა, და ისკანდერა. მამა ჩვენს კი ხალილა დაარქვეს, რადესაც გაათათრეს.

რუსები რომ მოვიდნენ 1807-ში ახალქალაქის ასაღებათ, მე მაშინ კარგა მოზდილი ბიჭი ვიყავი, ასე რომ რაბათის თავდაღმართში, იქ სადაც ძველი ქართველების სასაფლაოა, ორ მტერს ქვით გაეუტუნე თავი. მტრები მაშინ ძლიერ დავამარცხეთ, ასე რომ კარგა ხანს ახსოვდათ ეს დამარცხება და კიდევაც ცდილობდნენ სამაგიერო გადაეხადათ. 1810 წ. ასტენეს რუსებმა ბრძოლა, მაგრამ ბევრი მაინც ვერა გაიტანეს-რა. ოსმალეთმა ამაყობა დაიწყო და ეგონა მუდამ უძლიეველი დარჩებოდა, მაგრამ ეს აზრი შეეცვალათ თათრებს, როდესაც 1827-ში პასკევიჩმა დაამარცხა ჩვენი ჯარები. მე მაშინ მოღერებული ვაქაკი ვახლდი და თუ ვინმე იყო ბრძოლაში მხნე მეომარი, მეც მათში პირველი ადგილი მეჭირა როდესაც გათავდა ომი, პასკევიჩმა შეგვეგროვა მთელი ჯავახეთის მკვიდრნი და დიდ ტრიალ მინდორზე გაგვიყვანა. შემდეგ ერთ მხარეს ე. ი. მარჯვნივ დააყენა რუსების მღვდლები ხატე-

ბით და დიდ-კაცობა ბაირალებით, მარცხენა მხარეს დააყენა მოლები, თათრის დიდ-კაცობა და ბაირალები. მერე გაბრძანდა შუაზე და წარმოთქვა ხმა-მალა: ჯავახელებო! ვისაც გსურთ აქ დარჩენა, გადით მარჯვნივ და ვისაც გსურთ სათათრეთში წასვლა გადით მარცხნივ. ყველას გეინდოდა იქვე დავრჩენილიყავით; მაგრამ მოლებმა ტირილი შექმნეს, როდესაც შეგვატყეს დარჩენა რომ გეინდოდა. გადავხედეთ თუ არა მოტირალ მოლებს, შეგვეტყვა მათი და ამის გამო უმრავლესი თათრობა გადვიდა მოლებსკენ. რამდენიმე ნაწილი დარჩა იქვე, მაგრამ პასკევიჩმა შემდეგში აზრუმის სომხები დაასია კალიასავით და თათრობა ძლიერ შევიწროვდა, ასე რომ წუხდნენ კიდევ იქ დარჩენას. რომ ეს არ ექმნა პასკევიჩს, სრულიათ ჩვენ გულში არ გექონდა სამშობლოს დატოვება. მას თურმე სხვა განზრახვა ჰქონდა გულში: ჩვენი წასვლა და ჩვენი ნაცვლათ სომხების ჩამოსახლება აზრუმისადა. ჩვენ ხახალაშვილები, რადგანაც დაჯილდოვებული ვიყავით ოსმალეებისაგან, აღარ დავრჩით იქ და გადმოვესახლეთ აი ამ სოფელში, რომელსაც დავარქვით ჩვენი რაბათის სახელი. ვინცა აქ, ყველა ხახალაშვილები ვართ. ძველი კაცები ვინცა ვართ, ყველამ ვიცით ქართული ენა და ახლგაზდობა კი ვაქრობაში სწავლულობდნენ ქართულს“. ასე დაასრულა დადამ ეს ამბავი და მართლაც კაცი რომ დაუკვირდეს ხახალაშვილებს, არავითარი ცვლილება არ არის მათსა და ქართველებს შორის; მხოლოდ ესენი უფრო ახოვანნი არიან ქართველებზე და უფრო მშრომელნიც. მეუბნება და საქარლის მოშენება არის მათი უმთავრესი ხელობა. მათი ქალები სიშენიერეს გარდა ჩინებულნი ხელსაქმის მცოდნენი არიან. ქსოვენ: ხალიჩებს, ფარდაებს, მუფრაშებს, ბალიშის პირებს, ხურჯინებს, შალებს და ქეჩებსაც თევენ. ერთი სიტყვით, ჩალდირში რაბათის ქალიც და კაციც მოსაწონი არიან. ჩვენი ვინაობის გაცნობის შემდეგ დადას ვთხოვე, რომ ჩალდირის-ტბის ამბავი ეამბნო. თუ გნებავთ რომ ეს ამბავი გაიგოთ აბა ყური დამიდვით თქვა დადამ, დაისვა წვერზე ხელი და მოყვა ქართულათ:

ოტია ათაბაგი.

(შემდეგი იქნება)

პირველ ივლისს ამოვიდა ტირაქში პირველი შინაგ. სესხისა შემდეგი ბილეთები:  
 14034, 8556, 5067, 19555, 1835, 17154, 18124, 19243, 16743, 11907, 10829, 14389, 1718, 12017, 14990, 890, 9407, 12951, 12787, 7855,

19952, 19305, 8520, 19113, 18612, 2723,  
 19954, 12050, 19142, 1263, 13306, 8522, 6871,  
 13184, 11256, 8126, 4460, 11005, 5230, 7655,  
 967, 9346, 15964, 234, 322, 5528, 3332, 9618,  
 17959, 7201, 14361, 9149, 18679, 16054, 261,  
 17279, 7108, 1012, 6249, 1666, 14136, 18403,  
 18482, 2050, 18998, 3507, 4968, 18274, 1495,  
 6296, 2449, 627, 3336, 4120, 14052, 3235,  
 5259, 4359, 10614, 7291, 9362, 2082, 16959,  
 7993, 1722, 14317, 3344, 12646, 9417, 6583,  
 2745, 15763, 14263, 2405, 9518, 249, 16906,  
 14779, 19356, 1060, 5267, 2302, 2463, 7225,  
 14072, 9960, 9290, 5715, 13031, 16681, 7437,  
 5633, 15090, 1143, 6274, 13060, 19133, 1095,  
 17775, 14424, 4047, 6721, 2546, 16180, 13187,  
 6910, 9426, 3906, 10477, 3494, 14686, 17600,  
 14680, 18611, 18371, 10740, 19355, 4089,  
 853, 15649, 10928, 18293, 10598, 13805,  
 13410, 8037, 14938, 3844, 17714, 17506,  
 13808, 8270, 9774, 575, 10867, 3824, 10037,  
 3879, 5576, 6649, 869, 3801, 556, 1983, 15718,  
 15277, 13174, 11278, 5035, 4550, 1924, 12241,  
 18763, 146, 16539, 3838, 2344, 26912, 10796,  
 4096, 14028, 5209, 16752, 10923, 5882, 1736,  
 9934, 2038, 7592, 13029, 2895, 8544, 14935,  
 8936, 8802, 16572, 11,8081, 8436, 1879, 14418,  
 10322, 1078, 9060, 7468, 18765, 11509, 8131,  
 18343, 15592, 10726.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

## საპოლიტიკო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი შეთუსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათვებას შემდეგ ატესტატები ეძლე-

ვათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) პუსგალტერია მარტავი, ორკეცოც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამაშო წესდებანი, 7) მსწრაულ-წერა და წერა გაკრული და შნაიანი (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დღის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 სათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნავრონის ქუჩაზე, აფთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსებს დამარსებელს პ. მ. ნუელიანცს, ტფილაში.

!(12—2)

კბილის ექიმი

# ვ. ი. ჭიჭინაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავთამეოფებს ახალ სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. სავინა-შვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში იყიდება

ბ ი თ ს ტ ე ბ ი

## გაბრიელ ეპისკოპოსისა

ფასი 1 მან. 40 კაპ.